ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## რატომ დაურეკა ნაცემმა ქათამაძემ ღამის 1:48-ზე ჩიქოვანს

გვ.5



შაქარაშვილის საქმის ახალი დეტალები

სამშაბათი, 14 ივლისი, 2020 №149 (8413) ფასი: 60 თეთრი

# „ოპოზიცია ცდება, როცა ბიძინა მარტივად დასამარცხებელი ჰგონია“



გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, „ოცნება“ მოიგებდა“





გვ.3

## „ივანიშვილის რესურსი ამოწურულია. მისი იმედი ჩაცუცქული ბიჭები არიან“

მურმან დუმბაძე: „პარლამენტში იმიტომ არ უნდა მიდიოდე, რომ კანონში ცვლილება შეიტანო“

## გია ბარამიძე: „თაკო ჩარკვიანის რჩევას ვიღებ, თუმცა არ ვფიქრობ, რომ მკვეთრი განცხადებები გავაკეთე“



გვ.3



„თავად განსაჯეთ, ჩარკვიანის განცხადება კოლეგიალური იყო თუ არა და შეესაბამებოდა თუ არა ბლოკის პრინციპებს“

## ვახტანგ მაისაია: „ისრაელი კეზერაშვილისა და ბიზნესპარტნიორების საქმეს სწავლობს“

გვ.4





გვ.2

## სააკაშვილი: „საქართველოს პრორუსული ხელისუფლების მოშორება უკრაინის ინტერესებშია“

## რომან გოცირიძე: „არჩევნების წინ შეზღუდვები, შეიძლება, სერიოზული პრობლემა გახდეს“



გვ.4

## პაატა იმნაძე: „200 ნასვამი კაცი რა დისტანციას დაიცავს?“



გვ.2



გვ.4

## ამირან გამყრელიძე: „კორონავირუსმა, შეიძლება, ყოველ წუთს იფეთქოს, ამიტომ რეკომენდაციები არ უნდა იყოს ფორმალური“

ISSN 1987-9385

2 ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ თანამდებობა დატოვა

4 ნაგვის დაყრისთვის ჯარიმები იზრდება

5 გიორგი ენდელაძის ცემისთვის დავით კობალაძესა და 5 პირს პატიმრობა შეეფარდათ

6 ილჰამ ალიევი: „მტერმა ადეკვატური პასუხი მიიღო“

# „ოპოზიცია ცდება, როცა ბიძინა მარტივად დასამარცხებელი ჰგონია“

## თორნიკე შარაშენიძე: „არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, „ოცნება“ მოიგებდა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**



***— ბატონო თორნიკე, შიდა კვლევებით „ოცნების“ რეიტინგი 30-35%-მდე მერყეობს. როგორ ფიქრობთ, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ რეიტინგი ასწიონ?***

— „ოცნებას“ დიდი ხანია, არ ჰქონია 35%-ზე მაღალი რეიტინგი. ასე რომ, ამაში სასწაულს ვერ ვხედავ. 35%, პლუს შიდა რესურსი, უკვე სერიოზული ძალაა.

***— ამ რეიტინგით შედეგი მიღწევადია?***

— დანარჩენებს, ყველას, ხომ მათზე ნაკლები აქვთ. მთელი ოპოზიცია ერთად რომ ავიღოთ, მაგდენი ან ექნებათ, ან არა, თანაც ცალ-ცალკე არიან და ეს ხმები უაზროდ გადანაწილდება. ამ ეტაპზე „ოცნება“ ნორმალურადაა. მთავარია, რა მოხდება შემოდგომაზე, ვგულისხმობ ეკონომიკურ კრიზისს. ამ ვითარებაში რომ ჩაატარონ არჩევნები, მოიგებენ.

***— ოპოზიციას რომ მოეხერხებინა გაერთიანება, მაშინ ცუდად იქნებოდა „ოცნების“ საქმე? ნაციონალებს არ აქვთ დაბალი რეიტინგი. თქვენ ასე არ ფიქრობთ?***

— ოპოზიციის გაერთიანებას პლუსიც აქვს და მინუსიც. გაერთიანება დადებითაც მოქმედებს ხოლმე ამომრჩეველზე და უარყოფითადაც.

***— ალბათ, ოცნებასაც გაუჭირდება კოალიციის გარეშე. ვის მოიაზრებთ „ოცნების“ გვერდით, მათთან ერთად კოალიციაში?***

— ისეთი ძალა, რომელიც არასოდეს შევა ნაციონალებთან კოალიციაში, ვინ არის, ხელისუფლებამ კარგად იცის. ალბათ, სწორედ ამაზე აქვს აქცენტი, თუნდაც იგივე ლელო. ოღონდ გააჩნია, ლელო რამდენს აიღებს.

***— „ოცნება“ ახალ სახეებს ეძებს. ითქვა ისიც, რომ შესაძლოა, ივანიშვილი ვიხილოთ პირველ ნომრად. ამაზე რას ფიქრობთ. ერთსა და იმავე მდინარეში შევა ორჯერ ივანიშვილი?***

— არა მგონია, შევიდეს. ამ ეტაპზე ეს თვითონ არ სჭირდება არაფერში. ივანიშვილმა თავისი თავი სრულად ამოწურა. არც საჯაროობა აწყობს ახლა. ბოლოს ორი წლის წინ გამოვიდა და ეხვეწა ამომრჩეველს, მხარი დამიჭირეთო და ამის მერე თვითონაც ხვდება, რომ მისი გამოჩენა შეიძლება, მაინცდამაინც კარგი არ იყოს. რაც შეეხება ახალ სახეებს, ეს გაუჭირდებათ. სად არის ამდენი ახალი სახე ამ ქვეყანაში, პოპულარული და რეიტინგული, რომელიც „ოცნებასთან“ გადავა. ამის წარმოდგენა ძალიან რთულია. კი ბატონო, არსებობს ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი ნიჭიერი და წარმატებული ადამიანი, მაგრამ მათ უმრავლესობას პოლიტიკაში მოსვლა საერთოდ არ უნდა.

დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ ნორმალური ადამიანების უმრავლესობა პოლიტიკაში არ წავა.

***— რამდენად ელოდებით სანქციებს დასავლეთიდან? ბოლო დღეებია ვნახეთ, როგორი სკანდალი აგორდა ოპოზიციის წინააღმდეგ, რომ ოპოზიცია იხდიდა ფულს „ოცნების“ გასაშავებლად. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

— უშუალოდ სანქციების დადება, არა მგონია, რომ ოპოზიციამ შეძლოს, რაც არ უნდა ბევრი ფული ხარჯოს. თუმცა, ოპოზიცია რომ ფულს ხარჯავს და ხარჯავდა ყოველთვის, იმ დროიდან მოყოლებული, როცა „ოცნება“ იყო ოპოზიციაში და ასე აგრძელებს ახლაც, ეს ჩვეულებრივი თემაა.

***— ანუ დასავლეთში ჰყავს ოპოზიციას სერიოზული ლობისტები და იხდის დიდ ფულს?***

— რა თქმა უნდა, იხდის. თუმცა არ ვიცი, რამდენად დიდი ფული დარჩა ნაციონალურ მოძრაობას, რომ სერიოზული თანხები იხადოს.

***— შაქარაშვილის საქმეს თუ ობიექტურად არ გამოიძიებენ, ამან, შესაძლოა, სულაც ჩამოაქციოს „ოცნების“ სისტემა?***

— რა გითხრათ, აბა. ადამიანების რაციონალიზმის იმედი აქვს. დღეს თუ შევხედავთ სიტუაციას, არანაირად არ აწყობს ივანიშვილს, გადაჰყვეს ამ საქმეს. თუკი მართლა ვინმე მფარველობს ხელისუფლებიდან შაქარაშვილის საქმეს, ბიძინა მასაც გაწირავს. რატომ გადაჰყვება ამ საქმეს და მკვლელებისთვის ხელის დაფარებას? არანაირად. ამიტომაც, დიდი იმედი მაქვს, დამნაშავეები დაისჯებიან.

***— ამ საქმის ზოგიერთი მონაწილე კახი კალაძესთან იკვეთება, ანუ, თუ დასჭირდა, ივანიშვილი კალაძესაც მარტივად მოიშორებს?***

— კუნთმაგარ ბიჭებს რომ კალაძე მფარველობს ძირითადად, ეს ვიცით, თუნდაც კორცხელის ინციდენტი რომ გავიხსენოთ. თუ წინა ხელისუფლება ძირითადად ეყრდნობოდა ჯალათ ძალოვნებს, ესენი ეყრდნობიან კუნთმაგარ ჯალათ სპორტსმენებს. აი, ეს სისტემა მივიღეთ.

***— ძალიან დააზარალებს ხელისუფლებას, თუკი გამჟღავნდა, რომ ამ ამბავში არიან გარეული.***

— დიახ, ასეა, თუმცა აქვთ შანსი, დროზე მოუღონ ბოლო ყველანაირ სპეკულაციას. გამოიძიონ ობიექტურად, არ დატოვონ არანაირი კითხვის ნიშნები. საარჩევნო პერიოდია. მე მგონი, ყველაფერს იზამენ, რომ ობიექტური სურათი დაიდოს. ხოლო გირგვლიანის თემასთან ამის პარალელი არ არის მარტივი გასავლები. იქ ძალოვნებმა აწამეს და მოკლეს და შემდეგ მკვლელებს ხელს აფარებდნენ. აქ ჯერჯერობით მხოლოდ ხელის დაფარების მომენტი იკვეთება. თუ თვითგადარჩენის ინსტინქტი უმუშავებთ, მაშინ ობიექტურად გამოიძიებენ. ვნახოთ, რა იქნება.

***— რა შანსები აქვს ოპოზიციას?***

— ოპოზიციაში მე ვხედავ სერიოზულ დაქსაქსულობას. ამბიციურ ლიდერებს შორის დაპირისპირებასაც ვხედავ. ეს იმის ბრალია, რომ მათ ჩათვალეს, ეს არჩევნები უკვე მოგებული აქვთ. ეს არ არის სწორი. თუ ასე გააგრძელებენ, ეს მათ დააზარალებს. თუ ცალ-ცალკე გავლენ, ტრაგედია არ არის, მაგრამ, თუ დაპირისპირების დეტალები გარეთ გამოვა, ეს მათ სერიოზულად დააზარალებს. ამომრჩეველი იფიქრებს, ჯერ ხელისუფლებაში არ მოსულან და უკვე ერთმანეთი დახოცეს და მერე რას იზამენო.

***— ზედმეტად თავდაჯერებულები არიან?***

— მათ ნაწილს დღემდე აქვს ილუზია, რომ ბიძინა სუსტია, შტერია და მას ადვილად დაამარცხებენ. ასე მარტივად არ არის საქმე. ბიძინა ხელწამოსაკრავი ფიგურა ნამდვილად არ არის, თანაც გახარიას აქვს არჩევნები ჩაბარებული. მანაც დაამტკიცა, რისი თავიც აქვს.

***— ანუ ფიქრობთ, რომ „ოცნება“ არ წააგებს ამ არჩევნებს?***

— საქართველო ისეთი არაპროგნოზირებადი ქვეყანაა, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ორ დღეში შეიძლება ჩამოინგრეს ყველაფერი, თუმცა, დღევანდელი გადასახედით, „ოცნებას“ შეუძლია, კოალიციის ფარგლებში მშვენივრად დარჩეს ხელისუფლებაში.

## საფრანგეთის ელჩი დიეგო კოლასი 14 ივლისს თბილისში კარფურის თანამშრომლებს შეხვდება



საქართველოში საფრანგეთის საელჩო 14 ივლისს თბილისში საზეიმო მიღებას არ გამართავს.

ამის შესახებ საელჩოს განცხადებაშია ნათქვამი:

„პანდემიის განსაკუთრებული კონტექსტიდან გამომდინარე, წელს საფრანგეთის საელჩო საქართველოში არ გამართავს მიღებას ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამისა, ის აღნიშნავს დემოკრატიისა და სოლიდარობის ღირებულებებს, რომლებიც საფუძვლად ედო საფრანგეთის რევოლუციას 231 წლის წინ.

ამასთან დაკავშირებით 14 ივლისს საფრანგეთის ელჩი საქართველოში, ბატონი დიეგო კოლასი, შეხვდება სუპერმარკეტ კარფურის გუნდს, 9:30 სთ-ზე, რათა დააფასოს და პატივი მიაგოს იმ ადამიანებს, რომლებიც პირველ ხაზზე იყვნენ საქართველოში თუ სხვაგან მომარაგების საქმეში, რომელთა წყალობით იზოლაციის დროსაც კი ცხოვრება ჩვეული რიტმით მიდიოდა.

განსაკუთრებული გულისხმიერებით იქნება მოხსენიებული ქალების როლი ამ კრიზისის დროს, რომლებსაც ხშირად შრომა უორმაგდებოდათ — უნდა ეზრუნათ ოჯახებზე, დაკეტილი სკოლების პირობებში და პროფესიული საქმიანობა გაეგრძელებინათ, ვინაიდან სწორედ ქალები ასრულებდნენ მნიშვნელოვან პროფესიებს“.

## აზერბაიჯანში თავდაცვის ყოფილი მინისტრი დააკავეს



აზერბაიჯანის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ქვეყნის თავდაცვის ყოფილი მინისტრის რაგიმ გაზიევის დაკავების შესახებ იუწყება.

მას ბრალად ედება სახელმწიფოს წინააღმდეგ მოწოდებები.

უწყება გაზიევის დაკავებას აზერბაიჯანი-სომხეთის საზღვარზე მომხდარ ინციდენტს უკავშირებს.

აზერბაიჯანის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მონაცემებით, 12 და 13 ივლისს თავდაცვის ექსმინისტრმა, რომელიც სოციალურ ქსელში მიზანმიმართულად ავრცელებდა პროვოკაციულ ინფორმაციას, რომელიც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, მოუწოდებდა მოქალაქეებს მოქმედებებისკენ, რომლებიც შეასუსტებდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, ასევე მასობრივი არეულობების ორგანიზებას.

## ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ თანამდებობა დატოვა

ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ მან განცხადება გუშინ, 13 ივლისს, საკუთარ ფეისბუქგვერდზე გააკეთა:

„ჩემო ძვირფასო ხარაგაულელებო, მივიღე გადაწყვეტილება, რომ დავტოვო მერის თანამდებობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გტოვებთ თქვენ. მე ვრჩები „ქართული ოცნების“ გუნდში, ვაგრძელებ მათთან ერთად მუშაობას და ყოველთვის ვეცდები, თქვენთვის სასარგებლო საქმე ვაკეთო.



აღნიშნული გადაწყვეტილება მე რამდენიმე თვით ადრე მქონდა მიღებული, მაგრამ გუბერნატორის და გუნდის თხოვნით ამ თანამდებობას ვინარჩუნებდი, რადგან ამას კორონავირუსის პანდემიის გამო შექმნილი ვითარება ითხოვდა და საჭირო იყო ერთობლივი ძალისხმევა, რაც, ვფიქრობ, გამოგვივიდა კოორდინირებული მუშაობით.

დამეთანხმებით, საკრებულოსთან ნაყოფიერი მუშაობით შევძელით მუნიციპალიტეტისთვის საჭირო ბევრი საქმის გაკეთება, რაც ასევე გაგრძელდება და, თქვენი საჭიროებებიდან გამომდინარე, კიდევ ბევრი პროექტი განხორციელდება.

მე დღეს თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადებით მივმართავ ხარაგაულის საკრებულოს, ჩემს მოვალეობას კი ჩემი მოადგილე თეიმურაზ ჩხეიძე შეასრულებს.

მადლობას გიხდით ნდობისთვის და საერთო საქმისთვის საჭირო თანადგომისთვის, გჯეროდეთ, ხარაგაულზე და ხარაგაულელებზე ჩემი ფიქრი აქ და ამით არ მთავრდება“.

## სააკაშვილი: „საქართველოს პრორუსული ხელისუფლების მოშორება უკრაინის ინტერესებშია“



უკრაინის რეფორმების ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას პრორუსულს უწოდებს და მიიჩნევს, რომ მისი ცვლილება უკრაინისთვის მომგებიანი იქნება.

— ვფიქრობ, რომ საქართველოს პრორუსული ხელისუფლების მოშორება უკრაინისა და უკრაინელი ხალხის ინტერესებშია. თუმცა, ეს ჩემი პირადი აზრია. მე არ გამოვხატავ არც პრეზიდენტის და არც სხვათა აზრს ამასთან დაკავშირებით, რადგან არ ვარ უკრაინის ოფიციალური სახელმწიფო მოხელე. ეს ჩემი პირადი პოზიციაა და ის ძალიან მტკიცეა, — განაცხადა სააკაშვილმა.

მანვე ხაზი გაუსვა, რომ ქართველს ვერავინ დაუშლის, ქართველი იყოს მაშინაც კი, თუ მას უკრაინის პასპორტი აქვს და უკრაინის პატრიოტია.

## პაატა იმნაძე: „200 ნასვამი კაცი რა დისტანციას დაიცავს?“



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძის განცხადებით, ამ ეტაპზე ქორწილის, იუბილესა და ქელეხის ჩატარება დახურულ სივრცეში ისევ არ არის რეკომენდებული.

ამის შესახებ იმნაძემ „ფეისბუქლაივში“ შესაბამისი კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მისივე თქმით, ასეთ სიტუაციებში მოქალაქეები დისტანციას ვერ დაიცავენ.

— ჩვენი ტრადიციები ყველამ კარგად ვიცით, ხომ? კონცერტი შეიძლება, ღია სივრცეში ჩატარდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქორწილი, იუბილე და ქელეხი ალკოჰოლის გარეშე არ არის და ამიტომ, როგორ ფიქრობთ, 200 კაცი რომ ნასვამი იქნება, იქ რომელი დისტანციის დაცვაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? ამიტომ ჯერჯერობით ჩვენი რეკომენდაცია ასეთია, რომ დიდი ზომის ასეთი ღონისძიებები არ არის რეკომენდებული, — განაცხადა იმნაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ბარამიძე: „თაკო ჩარკვიანის რჩევას ვილებ, თუმცა არ ვფიქრობ, რომ მკვეთრი განცხადებები გავაკეთე“

## „თავად განსაჯეთ, ჩარკვიანის განცხადება კოლეგიალური იყო თუ არა და შეესაბამებოდა თუ არა ბლოკის პრინციპებს“

იაგო ნაცვლიშვილი

**მიიღეს თუ არა ნაციონალურ მოძრაობაში გადაწყვეტილება — ბლოკით გამოვლენ არჩევნებში თუ დამოუკიდებლად? რა პასუხი აქვს თაკო ჩარკვიანის კრიტიკაზე? იძლევა თუ არა გარანტიას, რომ სამართლებრივი სისტემა შეიცვლება, თუ არჩევნებში „ქართული ოცნება“ დაამარცხეს? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გია ბარამიძე საუბრობს.**

***— არჩევნებში ბლოკის სახით მიიღებთ მონაწილეობას თუ ცალკე გამოხვალთ პარტია?***

— არა, შიდაპარტიული პროცედურები ამ საკითხს არ გაუვლია და გადაწყვეტილება არ მიგვიღია, მით უმეტეს, რომ ველოდებით დანარჩენი ოპოზიციური პარტიების გადაწყვეტილებას თბილისში დარჩენილი ორი მაჟორიტარის თაობაზე.

***— ანუ თქვენი გადაწყვეტილება ნაწილობრივ ამაზეა დამოკიდებული?***

— კი. ჩვენ ხომ საკითხებს კომპლექსურად განვიხილავთ და დიახ, ნაწილობრივ ამაზეა დამოკიდებული.

***— პირადად თქვენი პოზიცია როგორია, რომელს უფრო უჭერთ მხარს, ბლოკს თუ ცალკე პარტიას?***

— ახლა მთავრობამ გაართულა კანონმდებლობა და ბლოკის შექმნა რაღაც თვალსაზრისით წამგებიანი გახადა. ამიტომ მას აქვს უდავო პლუსებიც და გარკვეული მინუსებიც. ამიტომ გვინდა, ეს ერთობლიობაში განვიხილოთ. ასე ხელაღებით თქმა სწორი არ არის. ზოგადად, ჩვენი დამოკიდებულება არის მაქსიმალური ერთიანობისკენ, მაგრამ ეს შეიძლება, ბლოკში ან სხვა ფორმით თანამშრომლობაში გამოიხატოს.

***— ჩვენთან ინტერვიუში თაკო ჩარკვიანმა გაგაკრიტიკათ და რიტორიკა დაგიწუნათ, თქვა, გია ბარამიძეს მეგობრულად და კოლეგიალურად ვურჩევდი, უფრო თავშეკავებული იყოს განცხადებების კეთების დროს და ნუ იქნება მკვეთრიო. აზრთა სხვადასხვაობა გაქვთ ჩარკვიანთან? რა პასუხი გაქვთ მის განცხადებაზე?***

— მე ქალბატონ თაკოს ძალიან დიდ პატივს ვცემ და მის მეგობრულ რჩევას ყოველთვის მივიღებ და გავითვალისწინებ. ჩვენ არ გვექნებოდა არაფერი სამსჯელო და არ იქნებოდა მკვეთრი განცხადებები, რასაც მე ვერ დავარქმევდი მკვეთრ განცხადებას, თუმცა, ამის საფუძველი რომ არ ყოფილიყო, შესაბამის განცხადებას არ გავაკეთებდი. მხედველობაში მაქვს მისი ის განცხადება, რომელიც მან გიორგი ვაშაძესთან შეთანხმებითა და ნაციონალური მოძრაობის ზურგსუკან გააკეთა და ვაშაძე პრემიერ-მინისტრად დაასახელა. ბუნებრივია, არასწორია, როდესაც ერთ კოალიციაში ვართ და ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ როდესაც ხდება კოალიციის მთავარი პარტიის ზურგსუკან ასეთი მნიშვნელოვანი ინიციატივის გაჟღერება, არ არის ეს მთლად სწორი კოალიციურ სულისკვეთებასთან მიმართებით.





მეორე, ქალბატონმა თაკომ თვითონაც დაასახელა თავისი კანდიდატურა საბურთალოს მაჟორიტარობის კანდიდატად, რაც ასევე არ იყო გავლილი ნაციონალურ მოძრაობასთან. შინაურულადაც კი არ ყოფილა ამაზე საუბარი, არც ისე არ იყო შეთანხმებული და არც ასე. ამაზე ჩვენ ვამბობთ, რომ არ არის მთლად სწორი და არ ვიცი, მკვეთრ განცხადებას რას დაარქმევს ქალბატონი თაკო... კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მე მას პიროვნულად დიდ პატივს ვცემ და მის მიმართ სიმპათია მაქვს.

***— ანუ თაკო ჩარკვიანი ბლოკის პრინციპებს თავად არღვევს?***

— თქვენ თვითონ განსაჯეთ. ხომ მომიწოდა, მკვეთრი განცხადებები არ გააკეთოსო და არ გავაკეთებ ამას. დასკვნა თავად თქვენ და თქვენმა მკითხველმა გააკეთეთ, რამდენად კოლეგიალურია ეს და რამდენად შეესაბამება ბლოკის პრინციპებს, როდესაც ბლოკის მთავარი პარტიის ზურგსუკან ასეთი განცხადებები კეთდება და ასეთი გადაწყვეტილებები მიიღება.

***— თუმცა ჩარკვიანი ამბობს, როდესაც ამ ინიციატივებს განვიხილავდით, ვითხოვდით შეკრებას, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა არ მოდიოდა და არ ესწრებოდა შეხვედრებს და ამიტომ გავაჟღერეო.***

— თუ კოალიციაში ხარ და თუ თანამშრომლობის სულისკვეთებას ინარჩუნებ, შეკრებების გარდა, სხვა მილიონი საშუალება არსებობს ერთმანეთთან ურთიერთობისა და კომუნიკაციისა. ამაში, ალბათ, ქალბატონი თაკოც დამეთანხმება და ნებისმიერი ადამიანიც. ბოლოს და ბოლოს, ტელეფონი არსებობს და დაურეკავ ადამიანს, პარტნიორს, რომელიც ჩვენი პარტიიდან მონაწილეობდა ამაში, იმავე ნიკა მელიას თუ გრიგოლ ვაშაძეს და ეტყვი ამას. ეს რიგითი საკითხები ხომ არ არის!

***— ანუ საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინა?***

— როგორც მინიმუმ. თუ ამას ვიტყვი და ეს მკვეთრ განცხადებად იქნება აღქმული, არ ვიცი.

***— პარლამენტში განიხილება პროექტი, რომლის მიხედვითაც მთავრობას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშე იანვრამდე უგრძელდება გარკვეული შეზღუდვების დაწესების უფლებები კორონასთან დაკავშირებით. სწორად მიგაჩნიათ ეს?***

— რა თქმა უნდა, ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ სწორედ იმ მიზეზების გამო, რომლებიც თქვენ თვითონ ჩამოთვალეთ. ნათელია, რომ არჩევნების წინ ასეთი უფლებამოსილებები არ უნდა იყოს, მით უმეტეს ისეთი მთავრობისთვის, რომელიც ხშირად არღვევს კანონს და არ ერიდება თავისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ რამენაირად ივანიშვილმა შეინარჩუნოს ეს მეთოდები, რაც არ გამოუვა, მაგრამ ის, რომ ცდილობენ, როგორმე შენარჩუნდეს ივანიშვილის რეჟიმი, მით უმეტეს, როდესაც საკანონმდებლო წესით უფლებებს იმყარებენ, აბსოლუტურად მიუღებელია, რაც ჩვენს პროტესტს იწვევს.

***— იმ სამართლებრივი თემებიდან გამომდინარე, რაც ვნახეთ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე თუ იმ საქმეზე, რომელშიც დეპუტატ კობა კობალაძის შვილი მონაწილეობდა, ხომ არ დგება შს მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი?***

— ამ რეჟიმს რაც ჰყოლია შს მინისტრები, მეტ-ნაკლები დოზით ყველამ ჩაიდინა ისეთი ქმედება, რაც შეიძლება იყოს კვალიფიცირებული, როგორც კანონდარღვევა. თავის დროზე იყო სარალიძის მკვლელობა, იყო ანტისაოკუპაციო აქციის დარბევა და თვალების დათხრა. ეს ადამიანები არათუ არ დაისაჯნენ, აგერ გახარია პრემიერადაც კი დააწინაურეს. ახლა აქ ხელების ქნევა ჰაერში არავის სურს. ეს რეჟიმი მშვიდობიანად, არჩევნების გზით უნდა მოვიცილოთ და შემდეგ მიუკერძოებელი, არაპოლიტიზებული პროკურატურა განიხილავს ამ საკითხებს და მას წარუდგენს თავისუფალ სასამართლოს, რომელსაც იმ პრინციპების შესაბამისად შევქმნით, რომელზეც ოპოზიციამ მოილაპარაკა, რომ ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ მოჯადოებული წრიდან გამოვიდეთ.

***— სისტემის შეცვლის გარანტიას იძლევით?***

— რა თქმა უნდა. ამაზე შეთანხმებული ვართ. სასამართლოსთან დაკავშირებით მოლაპარაკებები „გირჩის“ ოფისში მიმდინარეობდა და ამ შეთანხმების ერთგულნი აუცილებლად უნდა დავრჩეთ ყველანი.

***— მე არა მხოლოდ სასამართლოს, არამედ მთლიანად სამართლებრივ სისტემას ვგულისხმობ.***

— ამ შემთხვევაში შეთანხმება სასამართლოზეა, რომელიც არის ამ ყველაფრის ხერხემალი. თუ კარგი მოსამართლე გვეყოლება, რაც არ უნდა ცუდი იყოს პროკურორი, თავზე დაახევს საქმეს. თუ საქმე შეკერილია, პროკურორს მოსამართლე თავზე გადაახევს. თუ განმეორებით ამას გააკეთებს, იქით მიუსჯის.

რა თქმა უნდა, პარალელურად პროკურატურის რეფორმაც უნდა გავაკეთოთ, მაგრამ ამ წუთას სასამართლოზეა შეთანხმება. დარწმუნებული ვარ, სხვა მიმართულებითაც გვექნება შეთანხმებები. პროკურატურაზეც, შსს-ზეც და სუს-ზეც დაგვჭირდება შეთანხმება. ამ მოჯადოებული წრიდან უნდა გამოვიდეთ.

დავინახეთ, რომ ეს ყველას გვეხება, არ აქვს მნიშვნელობა, ხარ თუ არა ხელისუფლებაში. ყველამ უნდა გავითვალისწინოთ წარსულის შეცდომები და მიმდინარე პერიოდის ნეგატიური დამოკიდებულება. თუ ეს საკითხები მოვაგვარეთ, მაშინ დაცული იქნება ადამიანის უფლებებიც და ასევე ჩვენ ქვეყანას საინვესტიციო თვალსაზრისითაც ბევრად მიმზიდველად გავხდით და დაიძლევა უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემებიც, რადგან ეს საკითხები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

სასამართლო არის ამ ყველაფრის ხერხემალი.

# „ივანიშვილის რესურსი ამოწურულია. მისი იმედი ჩაცუცქული ბიჭები არიან“

## მურმან დუმბაძე: „პარლამენტში იმიტომ არ უნდა მიდიოდე, რომ კანონში ცვლილება შეიტანო“

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო მურმან, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაზე მინდა გკითხოთ. შეიძლება, მართლაც ბიძინა ივანიშვილი იყოს სიის პირველი ნომერი?***

— ბიძინა ივანიშვილი იქნება თუ არ იქნება სიის პირველი ნომერი, რა მნიშვნელობა აქვს?!

***— ასე ფიქრობთ, არ აქვს?***

— ჩაეწერება თუ არ ჩაეწერება, ვინც „ქართულ ოცნებას“ აძლევს ხმას, ის ისედაც ბიძინა ივანიშვილის გამო აძლევს ხმას. აბა, დამისახელეთ ერთი პირი „ოცნებაში“, რომლის გამოც ხალხი ხმას მისცემს ამ პარტიას. „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის გარეშე არ არსებობს და ეს ჩემზე კარგად არავინ იცის, ბოლოს და ბოლოს, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ვარ. დავუშვათ, პოლიტიკიდან საერთოდ მიდის ბიძინა ივანიშვილი, რა დაემართება „ქართულ ოცნებას“? დაემართება ის, რაც დაემართა „აღორძინებას“ ან „მოქალაქეთა კავშირს“.



განაჩენი უკვე გამოტანილია და ეს 8-წლიანი მმართველობის შედეგია. პოლიტიკაში ყველაფერი შედეგებით იზომება. დანაპირები ვერ შესრულდა. ამომრჩეველმა მას აჩუქა 4 წელი, მერე მისცა კიდევ 4 წელი, მერე გვითხრა, კიდევ ერთი წელი მაცალეთო. რესურსი ამოწურულია. მისი კაპიტალი განულებულია. ამიტომაც არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ივანიშვილი იქნება სიაში თუ არ იქნება.

***— ოპოზიციას ხომ არ აფრთხობს?***

— როგორ დააფრთხობს, როდესაც მისი პოლიტიკური კაპიტალი განულებულია. მისი ამომრჩეველი კატასტროფულად შემცირებულია. მათი იმედი კუთხეში ჩაცუცქული ბიჭები და საჯარო მოხელეები არიან. ეს არის და ეს.

***— პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ თეა წულუკიანი ნაძალადევის მაჟორიტარულ ოლქში იყრის კენჭს და შალვა ნათელაშვილს დაუპირისპირდება. მოუგებს?***

— თეა წულუკიანი ვერ მოიგებს მაჟორიტარულ არჩევნებს. ამას გეუბნებით დიდი ხნის გამოცდილების მქონე პოლიტიკოსი.

***— ოპოზიციაში განვითარებულ მოვლენებზე მაინტერესებს თქვენი პოზიცია. გარკვეულ დაპირისპირებაზეა საუბარი, ისევ შეუთანხმებელია თბილისში დარჩენილი ორი მაჟორიტარული ოლქი.***

— არა, რას ნიშნავს დაპირისპირება, როდესაც მთავარი შედეგი დადებულია. პროპორციულთან დაახლოებული სისტემა მოპოვებულია, 2024 წელს კი მთლიანად პროპორციულზე გადავალთ. თბილისში ოპოზიცია შეთანხმებულად გამოვა.



***— რადგან საბურთალოს რაიონში ალეკო ელისაშვილთან შეთანხმება ვერ მოხდა, შეიძლება, „ლელომ“ დააყენოს ბადრი ჯაფარიძე და ოპოზიციამ სწორედ მას დაუჭიროს მხარი. შეგიძლიათ, ეს ინფორმაცია დაგვიდასტუროთ?***

— ვერ დაგიდასტურებთ, თუმცა დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ მოლაპარაკებებს წინ არაფერი უდგას, მით უმეტეს, პრაქტიკულად, შეთანხმება უკვე მოხდა ძალიან განსხვავებულ პარტიებს შორის. დარწმუნებული ვარ, ამ ორ ოლქზეც ძალიან მალე მოხდება შეთანხმება.

***— „ლეიბორისტების“ ოფისში შეხვედრები რატომ არ იმართება, თუნდაც ამ ორი ოლქის შესათანხმებლად?***

— ახლა მთავარი აქცენტი პოლიტიკური პარტიების მიერ რეგიონებზეა გადატანილი. არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთ ადგილზე შეთანხმება მოხდეს რეგიონების მიმართულებითაც.

***— დიდ ქალაქებზეა საუბარი?***

— დიახ, შეიძლება, ზუგდიდში, შეიძლება, ბათუმში, შეიძლება, ქუთაისში.

***— ბათუმში თქვენ ხომ არ იქნებით კანდიდატი?***

— მე აქცენტს პროპორციულ სიაზე ვაკეთებ, 30 კაცი კი იქნება გადამწყვეტი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია პროპორციული სია, მით უფრო, როდესაც პროპორციული არჩევნებია.

***— ნაციონალურ მოძრაობას კოალიციური სია ექნება თუ პარტიული?***

— ვფიქრობ, კოალიციური სია იქნება და იქ უნდა იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებსაც უბრძოლიათ, რომლებსაც საქმე გაუკეთებიათ, რომლებსაც იდეებით აქვთ. პარლამენტში იმიტომ არ უნდა მიდიოდე, რომ კანონში ცვლილება შეიტანო, რაზეც მეცინება. მე დეპუტატი ვიყავი და ვიცი. ერთ სესიაზე 500 კანონში შედიოდა ცვლილება. პარლამენტის წევრის მთავარი ფუნქციაა ბიუჯეტის მიღება და აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობა.

ოპოზიცია გადის არჩევნებზე მოსაგებად. იქნება შეთანხმება და იქნება კონკურენცია. ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფო პოლიტიკურ პარტიათა კონკურენციაზე დგას.

***— და ეს კონკურენცია, ხომ არ ფიქრობთ, რომ ოპოზიციის დამარცხებას გამოიწვევს?***

— არა, არავითარი დამარცხება. ჩვენი მთავარი ამოცანაა, თბილისის მაჟორიტარულ ოლქებში შეთანხმებულად გამოვიდეთ და პროპორციული სიით ცალ-ცალკე გავიდეთ.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# ვახტანგ მაისაია: „ისრაელი კეზერაშვილისა და ბიზნესპარტნიორების საქმეს სწავლობს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.



***– ბატონო ვახტანგ, ებრაულმა გამოცემამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ სააკაშვილის ხელისუფლების თავდაცვის მინისტრ, კეზერაშვილის ბიზნესპარტნიორის, გადამდგარი გენერლის გალ ჰირშის წინააღმდეგ ისრაელის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. შეიძლება მას მალე ბრალი წაუყენოს იმ დარღვევების გამო, რომელიც გამოვლინდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ბიზნესურთიერთობებში, საუბარია 11 მლნ დოლარზე, რომელიც კეზერაშვილის ბიზნესპარტნიორს მიუღია და ისრაელის საგადასახადო სამსახურისთვის დაუმალავს. კიდევ სამ პირზეა საუბარი, რომელიც ამ საქმეში მონაწილეობდა. შეიძლება ისინი დააპატიმრონ. ამაზე თქვენ რა შეგიძლიათ თქვათ? წლების განმავლობაში საუბრობდნენ ისრაელიდან იარაღის შესყიდვის პროცესში დარღვევებზე, მაგრამ კეზერაშვილს ვერ დაუმტკიცეს.***

– აღნიშნული გამოძიება მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია. ისრაელში ახლა დაიწყო სერიოზული ანტიკორუფციული გამოძიებების ტალღა. ისრაელის სპეციალური საგამოძიებო ორგანო, რომელიც კორუფციულ დანაშაულობებს იძიებს, სერიოზულ გამოძიებებს ატარებს. კორუფციულ დანაშაულობებში პრემიერ-მინისტრის ნათესავებზე, რამდენიმე მაღალჩინოსანსა და თანამდებობის პირების მონაწილეობაზეცაა საუბარი.

როგორც ჩანს, ამგვარ საქმეებში მოჰყვა დავით კეზერაშვილის საქმე, რომელიც უკავშირდება ოპოზიციური პარტია „ლიკუდის“ წევრისა და სხვა მასთან კავშირში მყოფი პიროვნებების საქმეს. როგორც ჩანს, აქედან გავიდნენ ისინი კეზერაშვილზე.

2007-2009 წლებში ისრაელის გარკვეული კერძო სტრუქტურები თანამშრომლობდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან. გადამდგარი სამხედროების ფირმა „თავდაცვის ფართან“ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გააფორმა სპეციალური ხელშეკრულება. ხელშეკრულების ფარგლებში საუბარი იყო ისრაელის სამხედრო ინსტრუქტორების საქართველოში ჩამოყვანაზე, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების გაწვრთნაში მონაწილეობას, წვრთნისა და აღჭურვის პროექტის ფარგლებს ითვალიწინებდა.

ამავე დროს გათვალისწინებული იყო ისრაელიდან სამხედრო შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიების შეძენა. გარკვეულწილად, საქართველოსა და ისრაელის ერთობლივი სამხედრო სამრეწველო კომპლექსის შექმნა და სამხედრო-სამრეწველო პროდუქციის გამოშვებაში თანამშრომლობა.

საქართველომ ისრაელისაგან შეიძინა რამდენიმე საბრძოლო შეიარაღება. კერძოდ, უპილოტო თვითმფრინავები, დრონები, ჰერმესი 400 და ჰერმესი 600. ასევე ისრაელის სამხედრო სპეციალისტებმა მოახდინეს საქართველოს საბრძოლო ტანკების ტ-72-ის მოდერნიზაცია, რომელზეც დააყენეს ღამის ხედვის ხელსაწყოები.

ასევე, რამდენადაც მე ვიცი, საქართველომ ისრაელისგან შეისყიდა რამდენიმე ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა სამხედრო შეიარაღება. აქ მთავარი ერთი რამ იყო – როგორც ჩანს, აქ მუშავდებოდა სერიოზული კორუფციული სქემები და ხორციელდებოდა სერიოზული ბიზნესგარიგებები, რომელშიც მონაწილეობდნენ დავით კეზერაშვილი და მისი ბიზნესპარტნიორი.

***– მათ შორის, ერთ-ერთი მისი ნათესავი ყოფილა, მიხეილ ბენიამინი.***

– დიახ, ამიტომაც დანიშნა სააკაშვილმა კეზერაშვილი სასწრაფოდ თავდაცვის მინისტრად. კეზერაშვილმა დაარწმუნა მიხეილ სააკაშვილი, რომ ის ისრაელთან გაჭრიდა არხს და შესაბამის ურთიერთობებს განავითარებდა. ბუნებრივია, კეზერაშვილს ჩაბარებული ჰქონდა ისრაელის მიმართულება, რომ მათთან განევითარებინა და გაეზარდა სამხედრო-ტექნიკური და სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა.

როგორც ჩანს, აქ ჩართეს კორუფციული სქემები, ნეპოტიზმი და თეთრსაყელოიანი დანაშაულობები, ანუ კორუფციული ტიპის დანაშაულობები, რომელიც ითვალისწინებს ფულის გათეთრებასა და გადასახადებისაგან თავის არიდებას.

ისრაელში გამოძიება სამი მიმართულებით მიდის. პირველი არის შემოსავლების დამალვის სქემა. ბუნებრივია, ებრაული კომპანიის წარმომადგენლებს შემოსავლები უნდა მიეღოთ და ისრაელის საგადასახადო სტრუქტურებში უნდა ასახულიყო.

მეორე – საუბარია იმაზე, რომ კეზერაშვილი მონაწილეობდა ისრაელის მოქალაქეების მხრიდან სახელმწიფოსთვის შემოსავლების დამალვის საქმეში. შემოსავლების დამალვა ხორციელდებოდა ოფშორულ ზონებში გარკვეული ტრანზაქციების განხორციელებით.

ასევე საუბარია კორუფციის ფაქტებზე. როგორც ჩანს, კეზერაშვილმა მიიღო თანხა და კეზერაშვილი კორუფციულ გარიგებებში შევიდა თავის ნათესავებთან თუ ახლო მეგობრებთან და გარკვეულ ებრაულ ფირმებს მისცა პრეფერენსია, რომლებიც შემდეგ თანამშრომლობდნენ საქართველოს მხარესთან.

მესამე მომენტია, თავდაცვის კონკრეტული შეიარაღების შესყიდვის დროს ფულების მოტეხვა.

***– მახსოვს, საუბრობდნენ იმაზე, რომ შესყიდული შეიარაღება იყო არასათანადო, ძველი თუ დაზიანებული. ახალი შეიარაღების მაგივრად ძველის შესყიდვა ხომ არ მოხდა?***

– ძველის შესყიდვაზე არ არის საუბარი. იარაღის ფასები ხელოვნურად იყო გაზრდილი. დავუშვათ, ქართული მხარე იმაზე ორმაგ-სამმაგ მეტ თანხას იხდიდა, რაც ღირდა, შემდეგ იმ თანხას იყოფდნენ თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და თვითონ ებრაელი მეწარმეები, რომლებიც ამ საქმეში იყვნენ ჩართული. ეს არის ძირითადი მომენტი.

როგორც ჩანს, შეიარაღების შესყიდვა ხდებოდა შუამავალი კომპანიის მეშვეობით და სწორედ ამ შუამავალი კომპანიის მეშვეობით ახორციელებდნენ გარკვეული თანხების თავიანთ ანგარიშებზე თავის სასარგებლოდ გადატანას.

***– პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომ მილიარდ-ნახევარი არის დაკარგული, ფული, რომელიც უნდა მოხმარებოდა საქართველოს თავდაცვას.***

– კი, ბატონო. საუბარია არა მარტო ისრაელიდან, არამედ აღმოსავლეთ ევროპიდან უკრაინაში შემოტანილ იარაღთან დაკავშირებულ კორუფციულ სქემაზეც. საქართველოში ხდებოდა გარკვეული ტიპის შეიარაღების შესყიდვა, რომელსაც ოფიციალურად თავდაცვის სამინისტრო ახდენდა. საქართველოს არ სჭირდებოდა და მესამე ქვეყნებში გაჰქონდათ.

ხორციელდებოდა ისეთი ტიპის ტრანზაქციები, რომ საქართველო გახდა შავი ტრანზიტის ქვეყანა. საქართველოს მეშვეობით, რუსული და ბელორუსული კომპანიები, იგივე ვიქტორ ბუდის კომპანიებთან დაახლოებული კომპანიონები, საქართველოს ტერიტორიაზე ფორმალური შესყიდვის საშუალებით, მესამე და მეოთხე ქვეყნებს იარაღს აწვდიდნენ.

## ამირან გამყრელიძე: „კორონავირუსმა, შეიძლება, ყოველ წუთს იფეთქოს, ამიტომ რეკომენდაციები არ უნდა იყოს ფორმალური“

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ ამირან გამყრელიძის განცხადებით, კორონავირუსმა, შეიძლება, ყოველ წუთს იფეთქოს და საზოგადოებისთვის მიცემული რეკომენდაციები ფორმალური არ უნდა იყოს.

თუმცა გამყრელიძემ გამართულ ბრიფინგზე „ინტერპრესნიუსის“ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ რიგ შემთხვევაში ამ რეკომენდაციებმა ფორმალური ხასიათი მიიღო.

– კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ მოსახლეობას, კორონავირუსი არსად გამქრალა და ჩვენთან ერთად არის – დღეს 9 შემთხვევა გვქონდა, გუშინ იყო 5, იმის წინ კიდევ 5, ერთეული შემთხვევებია. ჯერჯერობით ჩვენთან ინფექცია კონტროლირებადია, მაგრამ, ხაზს ვუსვათ, რომ ამან არ უნდა გაგვათამამოს და კორონავირუსმა, შეიძლება, ყოველ წუთს იფეთქოს. აქედან გამომდინარე, რეკომენდაციები არ უნდა იყოს ფორმალური და, პირველ რიგში, ეს ჩვენი სამოქალაქო პასუხისმგებლობაა. ამიტომ გთხოვთ ყველას, პირბადე იქნება, სოციალური დისტანცირება, პირადი თუ საზოგადოებრივი ჰიგიენა, თავშეყრა თუ ა.შ. – ეს ყველაფერი დავიცვათ, – განაცხადა გამყრელიძემ.

თავის მხრივ, ამავე კითხვის საპასუხოდ პაატა იმნაძემ აღნიშნა, რომ „მოსახლეობის მხრიდან ბევრია დარღვევა და რეკომენდაციების არდაცვის შემთხვევები“.

– პერიოდულად ვავლენთ შემთხვევებს, როდესაც არ ვიცით, პაციენტი სად დაავადდა. სამწუხაროდ, კორონა სადღაც დადის. არ ვიცით, ვინ არის ხოლმე ინფიცირების წყარო. აქედან გამომდინარე, ეს დაავადება არის საშიში. თუ არ დავიცავთ ელემენტარულ წესებს, მას სულ რამდენიმე დღე და კვირა დასჭირდება იმისთვის, რომ ამ ერთეულმა შემთხვევებმა ასეულ შემთხვევას მიაღწიოს. აქედან გამომდინარე, თხოვნაა ყველასადმი, რომ დავიცვათ რეკომენდაციები და არ მივცეთ კორონას გავრცელების საშუალება. არ არის ეს ძნელად შესასრულებელი რეკომენდაციები, – განაცხადა იმნაძემ.

## რომან გოცირიძე: „არჩევნების წინ შეზღუდვები, შეიძლება, სერიოზული პრობლემა გახდეს“



ნაციონალური მოძრაობის წევრი, დეპუტატი რომან გოცირიძე მიიჩნევს, რომ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში ცვლილებებით საქართველოს მთავრობისთვის საგანგებო მდგომარეობის გარეშე გარკვეული შეზღუდვების გატარების უფლების 2021 წლის იანვრამდე გახანგრძლივება ანტიკონსტიტუციურია.

მისი თქმით, არჩევნების წინ მთავრობის მსგავსი უფლებით აღჭურვა ქმნის რისკს, რომ საარჩევნოდ მთავრობა ამას გამოიყენებს.

„რა თქმა უნდა, ეს არის ანტიკონსტიტუციური. არჩევნების წინ მთავრობის აღჭურვა ასეთი საგანგებო უფლებით ყოველთვის ბადებს რისკს, რომ მთავრობა გამოიყენებს როგორც საარჩევნო პერიოდში საარჩევნო კამპანიის შესაზღუდად, ასევე თავად არჩევნების დღეს. ეს არის ძალიან ცუდი და ამ უფლებებით მთავრობის აღჭურვა, შეიძლება, სერიოზული პრობლემა გახდეს არჩევნების დროს“, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

საქართველოს მთავრობას საგანგებო მდგომარეობის გარეშე? გარკვეული შეზღუდვების გატარების უფლება, შესაძლოა, 2021 წლის იანვრამდე გაუხანგრძლივდეს. შესაბამისი ცვლილებები „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში შედის, რომლის მოქმედების ვადა, შეიძლება, 2020 წლის 15 ივლისიდან 2021 წლის პირველ იანვრამდე გაგრძელდეს. პარლამენტმა აღნიშნული კანონი კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მიმდინარე წლის მაისში მიიღო და განსაზღვრა კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა მოქმედების ვადად 2020 წლის 15 ივლისი დადგინდა.

## უხარისხო ბენზინის ან დიზელის საქართველოში შემოტანა, შესაძლოა, 30.000-ლარიანი ჯარიმით დაისაჯოს

უხარისხო ბენზინის ან დიზელის საქართველოში შემოტანა, შესაძლოა, 30.000-ლარიანი ჯარიმით დაისაჯოს.

ამის შესახებ კანონპროექტი პარლამენტშია ინიცირებული.

საუბარია პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებულ პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც გუშინ პარლამენტის წევრმა ნინო წილოსანმა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე გააცნო დამსწრე დეპუტატებს.

წილოსანმა აღნიშნა, რომ საავტომობილო ბენზინისა და დიზელის ხარისხობრივი ნორმებისა და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ქვეყანაში ევროპული ნორმების დანერგვის პროცესში აუცილებელია ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვისაგან ატმოსფეროს დაცვისა და საწვავის ხარისხის საკითხების რეგულირება.

„სწორედ ამას ემსახურება წარმოდგენილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც, იმ შემთხვევაში თუ საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი საავტომობილო ბენზინის ანდა დიზელის საწვავის იმპორტი ხორციელდება, რომლის ხარისხიც ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივ ნორმებს ანდა დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმებს, გამოიწვევს დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით და ამასთანავე მოხდება იმპორტირებული შესაბამისი საწვავის ფაქტობრივი რაოდენობის (ლიტრი) და ამავე საწვავის იმპორტის ფასის ნამრავლის თხუთმეტმაგი ოდენობით დაჯარიმება“, – განაცხადა წილოსანმა.

## საზოგადოებრივი მაუწყებელი 54 მლნ ბიუჯეტით 1.4 მლნ-ზე მეტს ვერ შოულობს



საზოგადოებრივი მაუწყებელი (საზმაუ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მზარდი დაფინანსებით ყველაზე მდიდარი ტელევიზიაა საქართველოში. ჯამური შემოსავალი 55.9 მლნ ლარია. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს კვლევის მიხედვით,

ტელეკომპანიას სარეკლამო შემოსავლები, 2018 წელთან შედარებით, 2019 წელს 1.5 მლნ ლარით შეუმცირდა, თუმცა სარეკლამო შემოსავლების ათეულში მეშვიდე ადგილი დაიკავა. საზოგადოებრივი მაუწყებლის რეკლამა მნიშვნელოვნად 2018 წელს გაიზარდა. ამავე წლის დასაწყისში მიიღო პარლამენტმა საკამათო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმად, საზოგადოებრივ მაუწყებელს რეკლამისა და სპონსორობის განთავსების ფარგლები გაეზარდა.

„როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელი განმარტავდა, 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, რეკლამის ზრდა მათ მიერ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ექსკლუზიური ჩვენების დროს განთავსებულმა რეკლამამ გამოიწვია. ამჯერად 2019 წლის მონაცემები 2017 წელს შევადარეთ (რადგან არც ერთ წელს მსოფლიო ჩემპიონატი არ ყოფილა) და აღმოჩნდა, რომ რეკლამა ამ შემთხვევაშიც 572 ათას ლარზე მეტით გაიზარდა“, – ნათქვამია კვლევაში.

## ნაგვის დაყრისთვის ჯარიმები იზრდება



საცხოვრებელი სახლიდან ან სხვა შენობიდან 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დაბინძურება 100 ლარის ნაცვლად 200 ლარით დაისჯება. პარლამენტმა „ნარჩენების მართვის კოდექსში“ შესატან ცვლილებების პროექტს მესამე მოსმენით (80 მომხრე) დაუჭირა მხარი, რომლის თანახმად, ნაგვის დაყრისთვის დაკისრებული ჯარიმები იზრდება.

კანონპროექტის მიხედვით, იგივე ქმედება, ჩადენილი ავტომობილიდან, გამოიწვევს მძღოლის დაჯარიმებას 250 ლარით, ნაცვლად 120 ლარისა. ამავე ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევთ მათაც, ვინც 2 კგ.-მდე ნარჩენს საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან გადაყრის. 5 ერთეულამდე საბურავით (გარდა ველოსიპედის საბურავისა) გარემოს დანაგვიანება გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 150 ლარის ნაცვლად 500 ლარის ოდენობით, ხოლო 5 ერთეული ან 5 ერთეულზე მეტი საბურავის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა 2000 ლარამდე იზრდება. 2 კგ.-მდე ბატარეის, აკუმულატორის, ელექტრონათურის, ელექტროსაქონლის, გრაფიტის ელექტროდის, ბასრი ან მჩხვლეტავი საგნის (მათ შორის, შუშის ნამსხვრევის, ლურსმნის ან სხვა მსგავსი საგნის) ნარჩენით გარემოს დანაგვიანებისთვის სამართალდამრღვევი პირი, ნაცვლად 100 ლარისა, 500 ლარით დაჯარიმდება. გარემოს დაბინძურება ნარჩენებით, რომელთა ოდენობა 2 კგ.-ს უტოლდება ან აღემატება, ამ შემთხვევაში ჯარიმა ფიზიკური პირებისთვის 500 ლარი (ნაცვლად 150 ლარისა), ხოლო იურიდიული პირებისთვის 1.500 ლარი (ნაცვლად 1000 ლარისა) იქნება. 1 კუბურ მეტრზე მეტი მოცულობის მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანებისთვის ფიზიკური პირები დაჯარიმდებიან 300 ლარის ჯარიმით, ნაცვლად 100 ლარის ოდენობისა, ხოლო იურიდიული პირები 1000 ლარის ნაცვლად გასამმაგებული ოდენობის ჯარიმით – 3000 ლარით; დიდი მოცულობის ნარჩენით (მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების, ელექტრო ან ელექტროტექნიკური დანადგარის, სამშენებლო დანადგარის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის) გარემოს დანაგვიანების შემთხვევაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაეკისრებათ გათვალისწინებულზე 4-ჯერ მეტი ჯარიმა – ფიზიკურ პირს – 2000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიულ პირს – 6000 ლარის ოდენობით.

## ბათუმში ანბანის კოშკთან 2 პირი დაჭრეს

ბათუმში 12 ივლისს, გვიან ღამით, ერთ-ერთ კლუბში 2 პირი დაჭრეს.

დაჭრილები კლინიკა „მედცენტრში" არიან მოთავსებული. ორივე პაციენტს ჩაუტარდა ოპერაცია.

მედიკოსების ინფორმაციით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

22 წლის ახალგაზრდას ჭრილობა გულმკერდისა და მუცლის არეში აქვს მიყენებული, მეორეს კი – იდაყვისა და ბარძაყის არეში.

დაჭრილების ოჯახის წევრებმა კამერებთან საუბარი არ ისურვეს. გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა.

ახალგაზრდები ანბანის კოშკის მიმდებარედ ერთ-ერთ კლუბში იმყოფებოდნენ, დაპირისპირება კი კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე დაახლოებით გამთენიის 5 საათზე მოხდა.

შსს-ს ინფორმაციით, დამნაშავეები ცხელ კვალზე დააკავეს.

მომხდარზე გამოძიება სსკ 117-ე მუხლით დაიწყო.

## მტკვარში 31 წლის ქალს ეძებენ

### ნაპირზე ქალის მანქანა და გამოსამშვიდობებელი წერილი ნახეს

მტკვარში 31 წლის ქალს ეძებენ. „კურიერის" ინფორმაციით, სამძებრო სამუშაოებში სამაშველო ჯგუფი მას შემდეგ ჩაერთო, რაც ორი დღის წინ გაუჩინარებული ქალის ადგილსამყოფლის დადგენის მოთხოვნით 112-ში დაკარგულის მეგობარმა დარეკა.

ასევე „კურიერმა" გაარკვია, რომ მტკვარში სამძებრო ღონისძიებები მას შემდეგ დაიგეგმა, რაც მიმდებარე ტერიტორიაზე 31 წლის ქალის ავტომობილი ნახეს.

დაკარგული ახალგაზრდა ქალი ვანიდან საკუთარი ავტომობილით წამოვიდა, ავტომანქანაში კი გამოსამშვიდობებელი წერილი იდო.

გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## პოლიციამ ხაშურში 3 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ბრალდებით, 1993 წელს დაბადებული ხ.ნ., 1991 წელს დაბადებული ს.ნ. და 1986 წელს დაბადებული დ.დ. ხაშურში დააკავეს.

დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა პირებმა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ალში 1947 წელს დაბადებულ ა.ფ.-ს ჯგუფურად მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას გულისხმობს.

## თემქაზე, კორპუსის მე-10 სართულზე, აფეთქება მოხდა

12 ივლისს თბილისში, თემქაზე, საცხოვრებელი კორპუსის მე-10 სართულზე აფეთქება მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსს" საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილზე 5 სახანძრო-სამაშველო ბრიგადა იყო მობილიზებული.

აფეთქება ერთ-ერთ ბინაში ბუნებრივი აირის დაგროვებამ გამოიწვია.

– საცხოვრებელი კორპუსის მე-10 სართულზე მოხდა აფეთქება, სახლი დაკეტილი იყო და არავინ იმყოფებოდა. ხანძარი არ ფიქსირდება, ჩამსხვრეულია ფანჯრები და ჩამოშლილია შეკიდული ჭერი. ადგილზე მობილიზებული იყო 5 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი, – აცხადებენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

## ალმაშენებლის ხეივანში ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი და ავტობუსი შეეჯახნენ

### 4 ადამიანი დაშავდა

12 ივლისს თბილისში, ალმაშენებლის ხეივანში, ავარია მოხდა. ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი და ავტობუსი შეეჯახნენ.

შემთხვევის შედეგად მსუბუქ ავტომობილში მსხდომი 4 ადამიანი დაშავდა. ისინი სამედიცინო დაწესებულებებში გადაიყვანეს. როგორც ცნობილია, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო ეკიპაჟები და სახანძრო-სამაშველო სამსახური.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო.

## რატომ დაურეკა ნაცემმა ქათამაძემ ღამის 1:48-ზე ჩიქოვანს

### შაქარაშვილის საქმის ახალი დეტალები



გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე სახალხო დამცველი უახლოეს დღეებში დაასრულებს შეხვედრებს როგორც ახალგაზრდა ფეხბურთელის ოჯახის წევრებთან, ასევე, 19 წლის ბიჭის გარდაცვალების საქმის ფარგლებში დაკავებულ პირებთანაც.

ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას ომბუდსმენის აპარატი, რა როლით იქნება ჩართული გამოძიებისა და ჭეშმარიტების დადგენის პროცესში.

შესაძლოა, რომ ნინო ლომჯარიამ მიმართოს პროკურატურასაც, მისცენ წვდომა სისხლის სამართლის საქმის მასალებსა და გამოძიების შედეგებზე.

იქამდე კი ამ მასალების გაცნობას განაგრძობენ ადვოკატებთან ერთად ჟურნალისტებიც. სატელეფონო ანძების ჩანაწერებით ირკვევა, რომ 1:48 წუთზე, მაშინ, როდესაც არაგვის ხიდზე დაპირისპირება დასრულებულია, დაშავებული გიორგი ქათამაძე უკავშირდება დაკავებულ ჩიქოვანს, თუმცა, რასთან დაკავშირებით მოხდა მათი კომუნიკაცია, ჯერჯერობით უცნობია.

ცნობილია, რომ პირველი საათიდან ორ საათამდე გამვლელმა ავტომობილმა, მერსედესის მარკის ავტომობილიდან ერთ-ერთი არასრულწლოვანი ლ.შ. თბილისში ჩამოიყვანა.

ირაკლი ახალაძე ერთ-ერთი მათგანია, რომელიც სწორედ იმ ავტომობილში იჯდა, რომლის მეშვეობითაც ორი პირი მცხეთიდან თბილისში ჩამოვიდა. მათ შორის ერთ-ერთი არასრულწლოვანია.

„მცხეთასთან როდესაც გავიარეთ ხიდი, გზაზე დავინახეთ 2 ახალგაზრდა მამაკაცი. რომლებიც იქნევდნენ ხელს და ცდილობდნენ, გაეჩერებინათ მანქანა. მე და გიორგიმ გავუჩერეთ აღნიშნულ პირებს მანქანა. როგორც მახსოვს, ამ დროს იქნებოდა ღამის 01:00-დან 01:30-მდე. მანქანა გავაჩერეთ ხიდის გავლის შემდგომ დაახლოებით 10 მეტრში მარჯვენა მხარეს, მეორეხარისხოვან გზაზე. ის ბიჭები მოვიდნენ ჩვენთან და გვთხოვეს თბილისამდე ჩაყვანა, რაზეც გიორგი დაეთანხმა და ისინი დასხდნენ უკანა სავარძელზე... ბიჭებმა გვთხოვეს, თუ შეგვეძლო, ისინი გაგვეყვანა „ნახალოვკაში", კიკვიძის ბაღის მიმდებარედ, რაზეც დავეთანხმეთ... ორი ახალგაზრდა იქნებოდა, დაახლოებით 18-20 წლის ასაკის", – ნათქვამია ჩვენებაში.

გიორგი გაბრიჭიძე კი ის ადამიანია, რომელიც საჭესთან იჯდა და ახალგაზრდებს ავტომობილი გაუჩერა. ის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი ახალგაზრდის ამოცნობა შეუძლია.

„ნახვის შემთხვევაში, შესაძლოა, ამოვიცნო მხოლოდ გრძელთმიანი პიროვნება. მოგახსენებთ, რომ არც გრძელთმიანი პიროვნების და არც მასთან მყოფი პირის მოყვანილობა არ მახსოვს და არ შემიძლია მათი აღწერა. მე მათი სახეები არ მახსოვს, რაც დამამახსოვრდა, იყო მხოლოდ ის, რომ ერთი მათგანი იყო მაღალი და სუსტი და ჰქონდა გრძელი თმები", – ნათქვამია ჩვენებაში.

**რუსთავი 2**

## გიორგი ენდელაძის ცემისთვის დავით კობალაძესა და 5 პირს პატიმრობა შეეფარდათ

გუშინ, 13 ივლისს, „ქართული ოცნების" დეპუტატ კობა კობალაძის შვილს დავით კობალაძესა და მასთან ერთად დაკავებულ 5 პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ზვიად შარაძემ მიიღო.

სახელმწიფო ბრალდება დაკავებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა.

საქმის პროკურორის განცხადებით, გიორგი ენდელაძეზე ძალადობისას საგნების, იარაღის გამოყენებას ჰქონდა ადგილი.

ბრალდების მხარის განმარტებით, ბრალდებულებმა შემთხვევის ადგილი მიატოვეს, მიმალვაში იმყოფებოდნენ და თავს არიდებდნენ გამოძიებას.

პროკურატურის პოზიციას დაცვის მხარე არ დაეთანხმა.

დაკავებულების ადვოკატები ბრალდებულების აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას, ალტერნატივის სახით კი 2.000, 5.000, 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდნენ.

საქმის პროკურორ მედეა ცირამუას განცხადებით, ბრალდებულები გამოძიებასთან არ თანამშრომლობენ.

როგორც პროკურორმა ჟურნალისტებს განუცხადა, საქმეში დანაშაულის მოტივად გამოკვეთილია შურისძიება.

– აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაწყებულია 2020 წლის 24 ივნისს, რის შემდგომაც ვაკე-საბურთალოს სამმართველოში ჩატარდა არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება და, როდესაც არსებობდა შესაბამისი მტკიცებულებითი სტანდარტი იმისათვის, რომ მოცემული პირები დაკავებულები ყოფილიყვნენ და, შესაბამისად, წარდგენოდათ ბრალი, ამ დროს მოხდა მათი დაკავება.



რაც შეეხება ბრალდებულებს, ისინი გამოძიებასთან არ თანამშრომლობენ, თითოეულმა მათგანმა თავი შეიკავა ჩვენების მიცემისგან.

დანაშაულის მოტივად გამოკვეთილია შურისძიების მოტივი. საქმეში არსებული ფაქტების ერთობლიობის საფუძველზე არის ეს მოტივი გამოკვეთილი. ეს ინფორმაცია გამოკვეთილია თავად დაზარალებულის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარეც, – აღნიშნა მედეა ცირამუამ.

პროკურორის განცხადებით, გიორგი ენდელაძეს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა.

– დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ გამოტანილია. რაც შეეხება დაზარალებულს, მისგან ჩვენება იქნა მიღებული მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იქნა დამაკმაყოფილებელი და გაწერილ იქნა სამედიცინო დაწესებულებიდან, – განაცხადა პროკურორმა.

დავით კობალაძის ადვოკატ ირაკლი გაბრიჭიძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი მზადაა ჩვენების მისაცემად.

როგორც ადვოკატმა ჟურნალისტებს განუცხადა, საქმეში შურისძიების მოტივი არ ყოფილა.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მზად არის ჩვენების მისაცემად, მაგრამ ჯერჯერობით დღემდე ჩვენების მიცემა ვერ მოხერხდა. ამაზე განვაცხადეთ ჩვენ მაშინ, როდესაც ის გამოცხადდა ნებაყოფლობით პოლიციაში და შემდგომ, როდესაც ბრალის წარდგენა მოხდა. ეს იყო გუშინ, გვიან ღამით. მომხდარის მოტივი არ ვიცი. შურისძიების მოტივზე საერთოდ არ ყოფილა სასამართლოში საუბარი, – განაცხადა გაბრიჭიძემ.

მისივე თქმით, რომ არა აღნიშნულ საქმეზე საზოგადოების მაღალი ინტერესი, სასამართლო გამოიყენებდა არასაპატიმრო ღონისძიებას.

– მინდა გითხრათ, რომ დავით კობალაძის მიმართ რომ არ ყოფილიყო ამხელა საზოგადოებრივი ინტერესი, სასამართლო, ძალიან დიდი ალბათობით, გამოიყენებდა არასაპატიმრო ღონისძიებას. შემიძლია გითხრათ, რომ ვიდეოჩანაწერში ძალიან ნათლად ჩანს, თუ რა ხდებოდა იქ. იქ მყოფ პირებს, ზოგიერთ მათგანს, უკეთია პირბადე. ის თეთრმაისურიანი პირი, ვისზეც არის საუბარი, რომ არის ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი დავით კობალაძე, არავითარ ცემას არ ახორციელებს, უბრალოდ, ფიზიკური კონტაქტი აქვთ კონკრეტულ პიროვნებასთან და ცდილობს კონფლიქტის განმუხტვასა და განეიტრალებას. მე ასე აღვიქვი ეს და ნებისმიერმა ადამიანმა, ვინც ამას ნახავს, შეიძლება, სხვანაირად აღიქვას, – განაცხადა ადვოკატმა.

პროკურატურამ გიორგი ენდელაძის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისა და ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე დავით კობალაძესთან ერთად ბრალდება კიდევ 5 პირს წაუყენა, ერთი პირი კი ძებნაში იმყოფება. უწყების ცნობით, გიორგი ენდელაძეს 6 პირი შურისძიების მოტივით თავს დაესხა, რის შედეგადაც მან მძიმე დაზიანებები მიიღო.

## ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე, ძალადობის განმეორების რეალური საფრთხის არსებობისას, მოძალადეზე ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება იქნება შესაძლებელი

საქართველოს პარლამენტმა მე-3 მოსმენით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა თანმდევი ცვლილებების პროექტი გუშინ მიიღო.

მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად იქმნება დამატებითი მექანიზმები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ეფექტიანობის ასამაღლებლად. კანონის თანახმად, შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, შესაძლებელი იქნება, მოძალადის მიმართ დაწესდეს ელექტრონული ზედამხედველობა, თუ სახეზეა ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე. ელექტრონული ზედამხედველობის დაწესებისას მხედველობაში იქნება მიღებული მოძალადის მიერ წარსულში ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ძალადობის განხორციელებისას ცივი/ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ფაქტი და სხვა გარემოებები.

ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შემთხვევაში მოძალადეს სხეულზე ელექტრონული სამაჯური დაუმაგრდება. აღნიშნულის შედეგად მოძალადის მიერ მსხვერპლთან/მსხვერპლის სახლთან, მის სამსახურთან და სხვა ტერიტორიასთან მიახლოების რეალურ დროში კონტროლი მოხდება.

ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების საკითხი დაექვემდებარება სასამართლო კონტროლს. პოლიციის მიერ შედგენილი ოქმი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად სასამართლოს წარედგინება.

მოძალადის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულება სავალდებულოა. მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობისათვის თავის არიდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

ამასთან, საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებსაც. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ინტერესების გათვალისწინებით, დამცავი ორდერის მოქმედების ვადა იზრდება 9 თვემდე, ნაცვლად 6 თვისა. ფართოვდება ოჯახის წევრის დეფინიცია, ოჯახის წევრის ჩამონათვალს ემატება წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირი.

საკანონმდებლო პაკეტი ძალაში შედის 2020 წლის 1 სექტემბერს. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის განმეორების თავიდან აცილებასა და მსხვერპლთა ეფექტიან დაცვას.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და სამინისტროს მხრიდან ეტაპობრივად ამ მიმართულებით არაერთი ქმედითი ნაბიჯი იქნება გადადგმული.

## სვანეთში მანქანა მდინარეში გადავარდა

### მანქანა ამოიყვანეს, მძღოლს ვერ პოულობენ

მესტიის მუნიციპალიტეტში, მესტია-უშგულის გზაზე, ავტომობილი მდინარე მულხურაში გადავარდა. შემთხვევა 12 ივლისს მესტია-უშგულის გზის მულახის მონაკვეთზე მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსს" მესტიის მერმა კაპიტონ ჟორჟოლიანმა განუცხადა, მდინარეში გადავარდნილ ავტომობილში ერთი ადამიანი იჯდა, რომლის პოვნა ამ დრომდე ვერ ხერხდება.

– ერთი ადამიანი იჯდა მანქანაში და მისი პოვნა ამ დრომდე ვერ ხერხდება. ტერიტორიაზე მობილიზებულია სამაშველო სამსახურის ყველა ბრიგადა, ვინც კი გვყავდა ადგილზე, – განაცხადა ჟორჟოლიანმა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სოფლის რწმუნებულმა ვასო ზურებიანმა განუცხადა, ავტომანქანა ამოყვანილია, თუმცა მანქანაში მყოფი პირის სამძებრო სამუშაოებს მდინარის დინება აფერხებს.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს.

# ილჰამ ალიევი: „მტერმა ადეკვატური პასუხი მიიღო“



გუშინ და დღეს მტერმა ადეკვატური პასუხი მიიღო, ჩვენი ჯარისკაცების გამო შური ვიძიეთ და ასე იქნება მომავალშიც.

ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, სომხეთის პროვოკაციის ერთ-ერთი მიზეზი აზერბაიჯანის მიერ საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული დიდი წარმატებაა.

– ვფიქრობ, ამ პროვოკაციის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ბოლო პერიოდში აზერბაიჯანმა საერთაშორისო ასპარეზზე დიდ წარმატებებს მიაღწია. ჩვენი ინიციატივით გაიმართა საერთაშორისო ორგანიზაციების სამიტები. ჩვენი ინიციატივით ჩატარდა გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური სხდომა. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა 130-ზე მეტმა ქვეყანამ, ხოლო სომხეთი წინააღმდეგი წავიდა და ამით საკუთარი თავის მსოფლიოდან იზოლირება მოახდინა.

თავისი გაუგებარი პოზიციით კოვიდ 19-ის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც დღეს მსოფლიოს დღის წესრიგის სათავეშია, სომხეთმა კიდევ ერთხელ მიაპყრო მთელი მსოფლიოს ყურადღება საკუთარი უსახური პოლიტიკისკენ. იმ დროს, როდესაც აზერბაიჯანი მოითხოვს, რომ მთელი მსოფლიო გაერთიანდეს ამ ბრძოლაში, სომხეთი დაუპირისპირდა მას, – განაცხადა ილჰამ ალიევმა.

მისივე თქმით, სომხეთი საერთაშორისო ასპარეზზე მხარდაჭერას კარგავს.

– სომხეთის ხელისუფლების მიერ გუშინდელი ინციდენტის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სიცრუის კიდევ ერთი ნიშანია. მათ სურთ, პასუხისმგებლობა აზერბაიჯანზე გადაიტანონ. მათ მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობის ან ჩვენი სამხედრო საგუშაგოს წინააღმდეგ მოულოდნელი ცეცხლის გახსნა შეუძლიათ. ისინი ასე მოიქცნენ და კიდევ ერთხელ გამოავლინეს თავიანთი მახინჯი და მზაკვრული ბუნება, – განაცხადა ილჰამ ალიევმა.

შეგახსენებთ, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე შეიარაღებული დაპირისპირება 12 ივლისს დაიწყო. აზერბაიჯანული მხარე 3 სამხედროს დაღუპვას ადასტურებს და აცხადებს, რომ სომხური მხარე დანაკარგის შესახებ ინფორმაციას მალავს. სომხეთის თავდაცვის სამინისტრო კი ამტკიცებს, რომ დანაკარგი არ აქვთ.

# ეგზიტპოლებით დუდა ლიდერობს



ეგზიტპოლების შედეგების თანახმად, პოლონეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მოქმედი პრეზიდენტი ანჯეი დუდა ლიდერობს.

იპსოსის მიერ წარდგენილმა შედეგებმა აჩვენა, რომ ანჯეი დუდამ მეორე ტურში ხმების 50.4% მიიღო, მისმა მეტოქემ, ვარშავის მერმა რაფალ ტრჟასკოვსკიმ კი – 49.6%.

პოლონეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 12 ივლისს გაიმართა. არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობამ 68.9% შეადგინა.

# ყაზახეთი კარანტინს 2 კვირით ახანგრძლივებს

ყაზახეთში კორონავირუსის გამო მეორედ დაწესებული კარანტინი 2 კვირით, ივლისის ბოლომდე, გახანგრძლივდება.

ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა კასიმ-ჟომარტ ტოკაევმა განაცხადა.

მისივე თქმით, კარანტინის გახანგრძლივება სიტუაციის სრული სტაბილიზაციისთვის არის საჭირო.

– არსებობს სიტუაციის გაუმჯობესების პირველი ნიშნები. მომავალი ორი კვირა აუცილებელია სიტუაციის სრული სტაბილიზაციისთვის, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

ბოლო მონაცემებით, ყაზახეთში კორონავირუსის 59.899 შემთხვევაა დადასტურებული. აქედან გამოჯანმრთელებულია 34.190 და დაღუპულია 375 ადამიანი.



მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ბუდუ ზივზივაძე: „უნგრეთში ჩემპიონობა და თასი მინდა“



ბუდუ ზივზივაძემ და მეზოკოვეშდმა უნგრეთის ჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავეს. თუმცა ქართველი ფეხბურთელით დაინტერესება უფრო ძლიერმა და გამოცდილმა მოლ ფეჰერვარმა გამოხატა და გადაიბირა კიდეც. ფეჰერვარმა სეზონი მე-2 ადგილზე დაასრულა.

ზივზივაძესთან ინტერვიუ ახალი კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ქართველი ფეხბურთელის აზრით, კარიერაში ნაბიჯი წინ გადადგა და იმედი აქვს, რომ უნგრეთის ჩემპიონი გახდება.

ქართველმა ფეხბურთელმა ასევე გაიხსენა კარიერის საწყისი ნაბიჯები, დანიაში გატარებული წარმატებული პერიოდი და საქართველოს შესახებ ისაუბრა.

***– პროფესიონალი ფეხბურთელობა ბავშვობიდანვე გადაწყვეტილი გქონდათ?***

– ასეა, შეიძლება ითქვას, რომ ბავშვობიდან ჩემი ოცნება იყო. ჩემს ოჯახში სპორტსმენი არავინ ყოფილა, მაგრამ სხვა ბავშვებთან ერთად ფეხბურთს ყოველდღე ვთამაშობდი. ერთი მეზობლის შემოთავაზებით საქმეს უფრო სერიოზულად მივუდექი.

***– უნგრეთში საქართველოს ნაკლებად იცნობენ. რას იტყვით თქვენს ქვეყანაზე?***

– საქართველო ლამაზი ქვეყანაა, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე. ყველას ვურჩევ, რომ ერთხელ მაინც ნახონ ეს ქვეყანა. ქართველი ხალხი ძალიან მეგობრული და სტუმართმოყვარეა. მრავალფეროვანი და გემრიელი კერძები გვაქვს, მთავარი კი ქართული ღვინოებია. უკვე ერთი წელია, უნგრეთში ვცხოვრობ და ამ 2 ქვეყანას შორის ბევრი საერთოა. უნგრეთიც ძალიან ლამაზია და ღვინოებიც ძალიან ცნობილია. ხალხი მეგობრულია. შესაბამისად, ადაპტაციის დროს განსაკუთრებული პრობლემები არ შემქმნია.

***– უნგრეთამდე დანიაში იყავით.***

– დიახ, 23 წლის ასაკში გადავედი. მანამდე 5 წელი მქონდა პროფესიონალურ ფეხბურთში გატარებული. თბილისის დინამოს მე-2 გუნდში, ქუთაისის ტორპედოსა და სამტრედიაში ვთამაშობდი, სადაც ჩემპიონი და ბომბარდირი გავხდი. სამწუხაროდ, დანიის პერიოდი ჩემს კარიერაში არც ისე წარმატებული გამოდგა. ამიტომ საქართველოში დავბრუნდი, სადაც 2018 წელს კვლავ ბომბარდირის ტიტული მოვიგე.

***– გოლები გასულ სეზონში უნგრეთშიც გაიტანეთ.***

– ვფიქრობ, უნგრეთში ჩემი გადასვლა კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯია. აქ ადაპტაცია უკეთ გავიარე, ვიდრე დანიაში. გოლები გავიტანე, მაგრამ მინდოდა, უნგრეთის თასი მომეგო და საპრიზო სამეულში დაგვესრულებინა სეზონი.

***– ფეჰერვარში რა მიზნები გაქვთ?***

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ისტორიულ გუნდში ვითამაშებ. როგორც უკვე ვთქვი, საქართველოში ჩემპიონი და 2-ჯერ ბომბარდირი გავხდი. არ უარვყოფ, რომ იგივე მიზნები აქაც მაქვს. გოლების გატანა სასიამოვნოა, მაგრამ მთავარი გუნდური გამარჯვებაა. დარწმუნებული ვარ, შემიძლია, გუნდის წარმატებაში კარგი თამაშით, გოლებითა და საგოლე პასებით ჩემი წვლილი შევიტანო. მინდა, უნგრეთის ჩემპიონი გავხდე და თასიც მოვიგო.

***– კლუბის გარდა, ამ ზაფხულს თქვენი ცხოვრებაც შეიცვალა.***

– დიახ, ჩემი პატარა ქალიშვილი ივნისის დასაწყისში დაიბადა, მაგრამ ჯერ არ მინახავს, რადგან საქართველოში დაიბადა. თუმცა მალე ჩემი მეუღლე მასთან ერთად ჩამოვა. მანამდე მინდა, სახლი ვიპოვო, სადაც ერთად ვიცხოვრებთ.

# არეულობა ლაციოში



რომის ლაციო სეზონის განახლების ერთ-ერთი მომხრე იყო და პრეტენზიას ჩემპიონობაზე აცხადებდა, თუმცა რესტარტის შემდეგ 6-დან 4 თამაში წააგო და მათ შორის ბოლო 3 – ზედიზედ. როგორც ჩანს, რომაელთა ბანაკში ყველაფერი რიგზე არ არის და იტალიური მედიაც ამის შესახებ წერს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ სასუოლოსთან მარცხის შემდეგ რომაელთა გასახდელში გუნდის მცველმა ფრანჩესკო აჩერბიმ და ექიმმა ივო პულჩინიმ იჩხუბეს. დაძაბულობა გუნდის ბოლოდროინდელ ჩავარდნას უკავშირდება და, როგორც ირკვევა, ყველაფერი ჯერ კიდევ 2 კვირის წინ, ტორინოსთან მატჩის წინა პერიოდში დაიწყო. სიტყვიერ დაპირისპირებაში მონაწილეობა ფიზმომზადების მწვრთნელ ფაბიო რიპერტისა და ერთ-ერთ ფიზიოთერაპევტ ჯორჯო გასპარინისაც ჰბრალდებათ.

ლაციომ ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა უარყოფის ცნობა და გუნდის შიდა სამზარეულო დაპირისპირება არ დაადასტურა.

შეგახსენებთ, ლაციო სეზონის შეწყვეტამდე იუვენტუსს ერთადერთი ქულით ჩამორჩებოდა. შემდეგ სიმონე ინძაგის გაწვრთნილმა გუნდმა პოზიცია დათმო და ახლა ლიდერთან 8-ქულიანი დაშორება აქვს.

# ლელა რაზიკაშვილი: „წელს ვაჟას დაბადების თარიღს, 14 ივლისს, ვერ ვიზეიმებთ“



ვაჟა-ფშაველას შთამომავალი ლელა რაზიკაშვილი 14 ივლისს ვაჟა-ფშაველას დაბადების დღესთან დაკავშირებით ახალი ინიციატივით გამოდის:

– წელს ვაჟას დაბადების თარიღს, 14 ივლისს, ვერ ვიზეიმებთ, გასაგები მიზეზების გამო.

ვერც დიდი სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“ გაიმართება, უკვე მესამედ!

წელს ვერ შევძლებთ, წინასწარ დაგეგმილი სცენარით, რიტუალური სანახაობებით, მაყურებლებით, პოეზიისა და, უბრალოდ, გართობის მოყვარული ვიზიტორებით დატვირთული ღონისძიება გავიმეოროთ, მაგრამ წელს შეგვიძლია, ვაჟა-ფშაველას დღესასწაული ვიზეიმოთ ისე, როგორც არასდროს ყოფილა ჯერ!

წელს, 14 ივლისს, დიდი პოეტის დაბადების ოფიციალურ თარიღზე შეგვიძლია, „ვაჟაობა“ ჩავატაროთ ჩვენ, ყველამ ერთად, მთელმა საქართველომ და მსოფლიოს ქართველობამ ისე, რომ ეს დღესასწაული იყოს ყველასი!

ამისთვის საჭირო არ არის სცენარები, რეჟისორები, მოსაწვევები და ა.შ.

ამისთვის საჭიროა ვაჟას, მისი პოეტური სიტყვისა და აზრის სიყვარული მხოლოდ!

ჩვენ შეგვიძლია, 14 ივლისს, ერთი დღით, მთელი სოციალური ქსელი ვაჟას ლექსებითა და ფრაზებით ავავსოთ!

ჩავწეროთ პოეტის რომელიმე ლექსი, ჩვენი საყვარელი სტროფი და ავტვირთოთ ჩვენს გვერდზე!

რაც მეტი ვიქნებით, მით უკეთესი!

ვისაც სურვილი და შესაძლებლობა აქვს, გაგვიზიაროს სიმღერა ვაჟას ლექსზე, ზოგმა ვაჟას პროზიდან ან ლიტერატურული წერილებიდან ფრაზები, აბზაცები და ასე შემდეგ!

შეგვიძლია ისიც, რომ რაიმე აქტუალური საკითხის განხილვისას ჩვენი აზრი კომენტარში ვაჟას ფრაზით გადმოვცეთ. ვერაფერი მოხდება ისეთი ამ ქვეყანაში, მისი სიბრძნე რჩევად და წამლად არ გამოდგეს!

ჩავაბათ ამ აქციაში ბავშვები, დედები, მამები, ბებო-პაპები.

ყველა პროფესიისა და ეროვნების ნაცნობ-უცნობები!

რაც მეტი ვიქნებით, უფრო უკეთესი!

ეს დღე დაემსგავსება ერთ დიდ აქციას: „საქართველო და მსოფლიო კითხულობს ვაჟას და საუბრობს ვაჟას ენით“!

მოდით, ვცადოთ და დავრწმუნდებით, რა სახალისო და სასიამოვნო იქნება იმ დღეს ვირტუალურ სამეგობროში შემოსვლა!

როგორ დაიკარგება შური, ბოღმა, სიძულვილი და როგორი ერთიანები ვიქნებით დიდი პოეტის სიტყვის ზეიმში ყველა, ვინც ამ აქციას შეუერთდება!

14 ივლისი დადგება თუ არა, მეც მოგილოცავთ ლექსით, ჩემებურად!

გაავრცელეთ და გადაეცით ყველას. მე მგონია, რომ ვაჟას საქართველო დიდია და მისი სიტყვისა და აზრის მიმდევარი – ბევრი!

მოდით, ვიდღესასწაულოთ ერთად!

# მაროტა ინტერში როქს აპირებს



იტალიური მედიის ცნობით, მილანის ინტერის მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე, შესაძლოა, მასიმილიანო ალეგრიმ შეცვალოს.

„ნერაძური“ ბოლო დროს წარმატებით ვეღარ თამაშობს და უკვე მე-4 ადგილამდე დაქვეითდა. ამიტომაც მილანელთა ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ სეზონის ბოლოს კონტეს კარისკენ მიუთითონ.

როგორც გითხარით, მის სავარაუდო შემცვლელად ალეგრი დასახელდა, რომელსაც ინტერის სპორტული დირექტორი ჯუზეპე მაროტა ძალიან კარგად იცნობს. სწორედ მან 2014 წელს იუვენტუსში კონტე ალეგრით ჩაანაცვლა და, შესაძლოა, ეს ნაბიჯი კიდევ ერთხელ გადადგას.

გავრცელებული ინფორმაციით, „ნერაძური“ მზად არის, ალეგრის სეზონში ანაზღაურების სახით 10-12 მილიონი ევრო შესთავაზოს. იტალიელი სპეციალისტის პასუხი ჯერჯერობით უცნობია, ამჟამად უმუშევარია და ბოლო პერიოდში პსჟ-საც უკავშირებენ.

შეგახსენებთ, კონტემ ინტერი ერთი წლის წინ ჩაიბარა. მილანელები სეზონის დასრულებამდე 7 ტურით ადრე სერია ა-ში მე-4 ადგილზე არიან და ლიდერ იუვენტუსს 10 ქულით ჩამორჩებიან.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# დავით უფლისაშვილი სერგო ზაქარიაძის პრემიით დაჯილდოვდა




რუსთაველის თეატრის მსახიობი დავით უფლისაშვილი სერგო ზაქარიაძის სახელობის პრემიით დაჯილდოვდა.

ჯილდო მას პანდემიის პერიოდში რობერტ სტურუას მიერ დადგმულ სპექტაკლში „თამაშის დასასრული“ მთავარი როლის ბრწყინვალე შესრულებისთვის გადაეცა.

სერგო ზაქარიაძის სახელობის პრემია მსახიობს გიგა ლორთქიფანიძის სახელობის თეატრის, კინოს, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიამ გადასცა.

# ტარიელ ჭანტურია 88 წლისაა



პოეტი ტარიელ ჭანტურია 88 წლის გახდა. იუბილესთან დაკავშირებით მალე პოეტის ახალი კრებული „88“ გამოიცემა.

ივანე ამირხანაშვილი:

– არაფერი პოეტური მისთვის უცხო არ არის. სალექსო გამოსახვის ყველა საშუალებას ზედმიწევნით ფლობს. იცის წარმოსახვათა ფორმირების საიდუმლოებანი. მაგრამ მისთვის მთავარი სიტყვაა. ლექსის მასალად იყენებს არა მეტაფორებსა და სახეებს, არამედ სიტყვას. სიტყვის პრიმატი – უმაღლესი პოეტური პილოტაჟი. ოღონდ ეს არ ჩანს. ისმის, იგრძნობა, როგორც ყველა ჰარმონია.

ვინ არის იგი? – ნოვაციების ოსტატი, პარადოქსების ვირტუოზი, ექსპერიმენტების მეფე, რითმების ჯადოქარი თუ რიტმების არქიტექტორი? ძნელია თქმა. მოუხელთებელია მისი ლექსი, თევზივით სხმარტალებს, რაც უფრო აკვირდები, მით უფრო გისხლტება ხელიდან. ოღონდ ერთი რამ უდავოა – ყოველი ქმნილება მისი სავსეა შუქით, სიცოცხლით, აზრით, იუმორით.

ტარიელ ჭანტურიას ლექსი, რასაც უნდა ეხებოდეს – სამშობლოს, ქალს, ცას, მიწას თუ ბალახს – შემოქმედებითი დისციპლინისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ნიშნითაა აღბეჭდილი. მან შექმნა თავისი სტილი, თავისი მანერა, თავისი სიტყვა. თანამედროვე ქართული პოეზიის პრესტიჟს მისი ლექსიც განსაზღვრავს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებას. მკურნალობაში ვიყენებ თანამედროვე საშუალებებს, ასევე სათანადო აპარატურასა და „ერექტორებს“, რომლის საშუალებითაც უძლურ მამაკაცსაც შეუძლია ჩაატაროს სრულიად ნორმალური სქესობრივი კავშირი, რომელიც არ შეიგრძნობა, არ არის მავნე, უტყუარია გამოყენებისას და შეტანილია სექსოლოგიის, ასევე უროლოგიის სახელმძღვანელოებში. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# უგოლო დერბი ქუთაისში

**ტორპედო-დინამო (თბ) 0:0**
**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

**ტორპედო:** ბულისკერია, ტაბატაძე, კასრაძე, ნადარაია, გრიგალაშვილი, ადამაძე (მირცხულავა 60), ბობკო, ჯანელიძე, ივანიშვილი, ციცქიშვილი (მარკოვიჩი 72), ფანცულაია (კვერნაძე 74)

**დინამო:** კვასხვაძე, ლოჩოშვილი, კობოური, ქიმაძე, იაშვილი, მექვაბიშვილი, პაპავა, კუცია, ბუღრიძე (ქავთარაძე 46), პერნამბუკო (აზაროვი 67), თ.კაპანაძე (გაბედავა 79)

**გაძევება:** გრიგალაშვილი (69), ქიმაძე (69)



ეროვნული ლიგის მე-5 ტური ქუთაისში ქართული დერბით დასრულდა. ქუთაისის ტორპედოსა და თბილისის დინამოს შორის გამართული მატჩი ყოველთვის პრინციპულია. ასე იყო ამჯერადაც, მაგრამ სრული სურათის შესაქმნელად მხოლოდ მატჩის 69-ე წუთი გამოდგება, როდესაც მთავარმა არბიტრმა ერთბაშად 2 ფეხბურთელი გააძევა მოედნიდან. ქიმაძისა და გრიგალაშვილის შეჯახებას მათ შორის არასასიამოვნო შელაპარაკება მოჰყვა, რის გამოც მსაჯმა ორივეს წითელი ბარათი უჩვენა და გუნდები მოედანზე 10 კაცის შემადგენლობით დატოვა.

დედაქალაქელებისთვის შედეგი სატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი იყო. ჩხეტიანის გუნდს ლიდერობის შესანარჩუნებლად სამი ქულის მოპოვება სჭირდებოდა. კახა ჩხეტიანმა და კამპანიამ ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. არსებული მომენტების მიუხედავად, გოლი ვერ გაიტანა. ტორპედოს ფეხბურთელები კარგად იცავდნენ თავს დინამოელთა შეტევებისგან და დროდადრო თავადაც აწუხებდნენ ყოფილი კაპიტანსა და ახლა სტუმართა მეკარე როინ კვასხვაძეს.

თამაშის სცენარიდან კარგად ჩანდა, რომ ტორპედოსთვის ფრე სავსებით მისაღები შედეგი იყო და მიაღწიეს კიდეც...

მატჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა ტორპედოს ყოფილმა და დინამოს ამჟამინდელმა მწვრთნელმა კახა ჩხეტიანმა:

— შეგვეძლო მოგებაც და წაგებაც, ამიტომ ფრე ლოგიკური შედეგი იყო. ერთადერთი, რაც გვაკლდა, სიცოცხლე იყო — ვერ ვითამაშეთ ისე, როგორც წინა მატჩებში. მაგრამ, არა უშავს, ყველა თამაშს ნამდვილად ვერ მოვიგებთ. რაც ყველაზე მთავარია, ვერაფერს გამოვასწორებთ, მომდევნო მატჩი გორის დილასთან გვაქვს და მოვემზადებით. ქუთაისში ჩემს დაბრუნებას რაც შეეხება, ძალიან ემოციური იყო, აქ დაიწყო ჩემი კარიერა, ცოტა სხვანაირად ვგრძნობდი თავს. მადლობა ქუთაისელ გულშემატკივრებს იმ წარსულისთვის და მადლობას გადავუხდი ასევე დინამოს გულშემატკივრებს, რომლებიც ყოველთვის ჩვენ გვერდით არიან. წარმატებებს ვუსურვებ ტორპედოს. ყველამ ვიცით, თუ რა პრობლემები იყო და სამწვრთნელო შტაბმა მოახერხა გუნდის ფეხზე დაყენება. ჩვენ კი თამაშიდან თამაშამდე უნდა მოვუმატოთ და უკეთესად ვითამაშოთ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დილა | 5 | 3 | 2 | 0 | 10-2 | 11 |
| 2.დინამო (თბ) | 5 | 2 | 3 | 0 | 8-1 | 9 |
| 3.საბურთალო | 5 | 2 | 2 | 1 | 4-5 | 8 |
| 4.დინამო (ბთ) | 5 | 1 | 4 | 0 | 7-4 | 7 |
| 5.ლოკომოტივი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-11 | 7 |
| 6.თელავი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-4 | 6 |
| 7.ტორპედო | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 8.სამტრედია | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 9.მერანი (თბ) | 5 | 0 | 3 | 2 | 1-7 | 3 |
| 10.ჩიხურა | 5 | 0 | 2 | 3 | 4-9 | 2 |

# ქართველი ფეხბურთელი პრიმერა დივიზიონში დაბრუნდა

21 წლის ქართველმა ფეხბურთელმა გიორგი ქოჩორაშვილმა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ლიგაში, ესპანეთის პრიმერა დივიზიონში სადებიუტო მატჩი ჩაატარა. ლევანტესა და ბილბაოს მატჩი ბასკთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა. ქართველი ნახევარმცველი თამაშში მატჩის მიწურულს, 89-ე წუთზე ჩაერთო, როდესაც რუბენ როჩინა შეცვალა. გიორგი დემეტრაძისა (სოსიედადი) და შოთა არველაძის (ლევანტე) შემდეგ გიორგი ქოჩორაშვილი რიგით მე-3 ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც ესპანეთის ელიტურ ლიგაში ითამაშა. 2017 წელს ქოჩორაშვილით ესპანური ხირონა დაინტერესდა და ქართველი ორწლიანი იჯარით კატალონიურ გუნდს შეუერთდა. 2017-19 წლებში ქოჩორაშვილი ხირონას ჯერ 19-წლამდე გუნდში, შემდეგ კი სარეზერვო გუნდში ასპარეზობდა. 2019 წლის ზაფხულში ლევანტესთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მიმდინარე სეზონში ქოჩორაშვილმა სარეზერვო გუნდის მაისურით ესპანეთის რანგით მესამე ლიგაში 15 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი შეაგდო. ქოჩორაშვილს საქართველოს 19 და 21 წლამდე ნაკრებებში უთამაშია. შეგახსენებთ, რომ 2007-08 წლების სეზონი შოთა არველაძემ ლევანტეში გაატარა. მას შემდეგ 12 წელი გავიდა და ლა ლიგაში ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა.

# სიტი გაამართლეს

სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ საკუთარ ვებგვერდზე „მანჩესტერ სიტის“ შესახებ ვერდიქტი გამოაქვეყნა. როგორც ცნობილია, უეფამ „ქალაქელები“ ევროტურნირებიდან ორი წლით მოკვეთა, მაგრამ აპელაციამ გაჭრა და სიტი საარბიტრაჟო სასამართლომ გაამართლა. შედეგად 30-მილიონი ჯარიმა, რომელიც უეფამ ბრიტანულ კლუბს გამოუწერა, 10 მილიონ ევრომდეა შემცირებული.

შეგახსენებთ, უეფამ სიტი ევროტურნირებიდან ფინანსური ფეარ ფლეის დარღვევის გამო მოკვეთა. კლუბი სასპონსორო ხელშეკრულებების ფინანსურ მაქინაციებში იქნა შემჩნეული.

სიტიმ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის უფლება უკვე მოიპოვა, თუმცა ბრძოლას მიმდინარე სეზონშიც აგრძელებს და 7 აგვისტოს მერვედფინალის საპასუხო მატჩში მადრიდის რეალს დაუპირისპირდება.

„ქალაქელებმა“ პირველი შეხვედრა 2:1 მოიგეს.

# შედეგები

**12 ივლისი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-ევერტონი ........ 3:0
ასტონ ვილა-კრ.ლაპასი ........ 2:0
ტოტენჰემი-არსენალი ........ 2:1
ბორნმუთი-ლესტერი ........ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 35 | 30 | 3 | 2 | 76-27 | 93 |
| 2.სიტი | 35 | 23 | 3 | 9 | 91-34 | 72 |
| 3.ჩელსი | 35 | 18 | 6 | 11 | 63-49 | 60 |
| 4.ლესტერი | 35 | 17 | 8 | 10 | 65-36 | 59 |
| 5.მანჩესტერი | 34 | 16 | 10 | 8 | 59-33 | 58 |
| 6.ვულვზი | 35 | 14 | 13 | 8 | 48-37 | 55 |
| 7.შეფილდი | 35 | 14 | 12 | 9 | 38-33 | 54 |
| 8.ტოტენჰემი | 35 | 14 | 10 | 11 | 54-45 | 52 |
| 9.არსენალი | 35 | 12 | 14 | 9 | 51-44 | 50 |
| 10.ბარნლი | 35 | 14 | 8 | 13 | 39-47 | 50 |
| 11.ევერტონი | 35 | 12 | 9 | 14 | 41-52 | 45 |
| 12.საუთჰემპტონი | 34 | 13 | 5 | 16 | 43-56 | 44 |
| 13.ნიუკასლი | 35 | 11 | 10 | 14 | 36-52 | 43 |
| 14.კრ.პალასი | 35 | 11 | 9 | 15 | 32-43 | 42 |
| 15.ბრაიტონი | 35 | 8 | 12 | 15 | 36-52 | 36 |
| 16.ვესტ ჰემი | 35 | 9 | 7 | 19 | 44-59 | 34 |
| 17.უოტფორდი | 35 | 8 | 10 | 17 | 33-54 | 34 |
| 18.ბორნმუთი | 35 | 8 | 7 | 20 | 36-60 | 31 |
| 19.ასტონ ვილა | 35 | 8 | 6 | 21 | 38-65 | 30 |
| 20.ნორვიჩი | 35 | 5 | 6 | 24 | 26-67 | 21 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

სტოკი-ბირმინგემი ........ 2:0
სუონსი-ლიდსი ........ 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-ეიბარი ........ 0:2
ლევანტე-ბილბაო ........ 1:2
ლეგანესი-ვალენსია ........ 1:0
სევილია-მალიორკა ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 35 | 24 | 8 | 3 | 64-21 | 80 |
| 2.ბარსელონა | 36 | 24 | 7 | 5 | 80-36 | 79 |
| 3.ატლეტიკო | 36 | 17 | 15 | 4 | 48-26 | 66 |
| 4.სევილია | 36 | 18 | 12 | 6 | 53-34 | 66 |
| 5.ვილიარეალი | 35 | 17 | 6 | 12 | 57-45 | 57 |
| 6.ხეტაფე | 35 | 14 | 11 | 10 | 43-34 | 53 |
| 7.ბილბაო | 36 | 13 | 12 | 11 | 41-32 | 51 |
| 8.სოსიედადი | 35 | 15 | 6 | 14 | 53-46 | 51 |
| 9.ვალენსია | 36 | 13 | 11 | 12 | 45-52 | 50 |
| 10.გრანადა | 35 | 14 | 8 | 13 | 45-42 | 50 |
| 11.ოსასუნა | 36 | 12 | 12 | 12 | 42-51 | 48 |
| 12.ლევანტე | 36 | 12 | 7 | 17 | 43-51 | 43 |
| 13.ბეტისი | 36 | 10 | 11 | 15 | 47-56 | 41 |
| 14.ვალიადოლიდი | 36 | 8 | 15 | 13 | 29-40 | 39 |
| 15.ეიბარი | 36 | 10 | 9 | 17 | 36-51 | 39 |
| 16.სელტა | 36 | 7 | 15 | 14 | 35-46 | 36 |
| 17.ალავესი | 35 | 9 | 8 | 18 | 32-53 | 35 |
| 18.მალიორკა | 36 | 9 | 5 | 22 | 37-61 | 32 |
| 19.ლეგანესი | 36 | 7 | 11 | 18 | 26-49 | 32 |
| 20.ესპანიოლი | 36 | 5 | 9 | 22 | 27-57 | 24 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

დეპორტივო-ესტრემადურა ........ 2:3
ლუგო-ხირონა ........ 2:2
ნუმანსია-პონფერადინა ........ 1:0
სარაგოსა-ოვიედო ........ 2:4

**იტალია. სერია ა**

ჯენოა-სპალი ........ 2:0
კალიარი-ლეჩე ........ 0:0
პარმა-ბოლონია ........ 2:2
უდინეზე-სამპდორია ........ 1:3
ფიორენტინა-ვერონა ........ 1:1
ნაპოლი-მილანი ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 32 | 24 | 4 | 4 | 67-32 | 76 |
| 2.ლაციო | 32 | 21 | 5 | 6 | 68-35 | 68 |
| 3.ატალანტა | 32 | 20 | 7 | 5 | 87-41 | 67 |
| 4.ინტერი | 31 | 19 | 8 | 4 | 65-33 | 65 |
| 5.რომა | 32 | 16 | 6 | 10 | 59-43 | 54 |
| 6.ნაპოლი | 32 | 15 | 7 | 10 | 52-43 | 52 |
| 7.მილანი | 32 | 14 | 8 | 10 | 45-41 | 50 |
| 8.სასუოლო | 32 | 13 | 7 | 12 | 59-54 | 46 |
| 9.ვერონა | 32 | 11 | 11 | 10 | 40-39 | 44 |
| 10.ბოლონია | 32 | 11 | 9 | 12 | 46-51 | 42 |
| 11.კალიარი | 32 | 10 | 11 | 11 | 48-46 | 41 |
| 12.პარმა | 32 | 11 | 7 | 14 | 44-44 | 40 |
| 13.ფიორენტინა | 32 | 8 | 12 | 12 | 38-44 | 36 |
| 14.სამპდორია | 32 | 10 | 5 | 17 | 39-54 | 35 |
| 15.უდინეზე | 32 | 9 | 8 | 15 | 31-46 | 35 |
| 16.ტორინო | 31 | 10 | 4 | 17 | 37-57 | 34 |
| 17.ჯენოა | 32 | 7 | 9 | 16 | 40-60 | 30 |
| 18.ლეჩე | 32 | 7 | 8 | 17 | 40-71 | 29 |
| 19.ბრეშა | 32 | 5 | 6 | 21 | 28-64 | 21 |
| 20.სპალი | 32 | 5 | 4 | 23 | 23-58 | 19 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ლოკომოტივი-უფა ........ 1:1
დინამო-კრილია ........ 2:0
ორენბურგი-როსტოვი ........ 0:0
ცსკა-რუბინი ........ 1:1
კრასნოდარი-ურალი ........ 3:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-ლუგანო ........ 3:3
სერვეტი-სტ.გალენი ........ 1:1
თუნი-ქსამაქსი ........ 3:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანათინაიკოსი-აეკი ........ 1:3
ოლიმპიაკოსი-პაოკი ........ 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანკარაგიუჯიუ-გალათასარაი ........ 1:0
ანთალია-ალანია ........ 1:0
ფენერბახჩე-სივასი ........ 1:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ლიბერეცი-ბოლესლავი ........ 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სლასკი-პოგონი ........ 2:2
პიასტი-იაგელონია ........ 2:0
ლეხი-ლეხია ........ 3:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-დინამო ........ 2:2
დესნა-შახტარი ........ 2:4
მარიუპოლი-ოლიმპიკი ........ 1:4

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ოლბორგი ........ 0:0
კოპენჰაგენი-ბრონდბიუ ........ 0:0
ორხუსი-მიდტიულანდი ........ 3:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰელსინბორგი-აიკი ........ 2:0
იორებრო-ვარბერგი ........ 1:0
გიოტებორგი-დიურგარდენი ........ 1:2
მიალბი-ჰაკენი ........ 3:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვიკინგი-ოდ გრელანდი ........ 1:2
კრისტიანსუნდი-სტაბეკი ........ 1:2
მიონდალენი-ვოლერენგა ........ 0:1
ალესუნდი-ბოდო გლიმდტი ........ 1:6
სარპსბორგი-სტარტი ........ 1:0
ბრანი-სანდერფიორდი ........ 3:1

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# სამგლოვიარო განცხადებები

ვიზიარებთ ნათელა და ომარ შურღაიების ოჯახის მწუხარებას ძმისშვილის

**პაატა შურღაიას**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

*გურამ კვიკვინია, ანზორ თოფაძე, მურმან ქუთელია, მურმან გაბისონია*

## რუსუდან მანგალაძის ხსოვნას



ჩვენი მეგობრობა სტუდენტობის პირველი დღიდანვე დაიწყო. 55 წელია, სულს ვუბერავთ ამ ურთიერთობას. ერთმა უბედურმა დღემ გადაწყვიტა ამ დამოკიდებულების დამუხრუჭება და ზეცაში წაიყვანა ჩვენი რუსიკო, მაგრამ არ გვჯერა, რომ იგი ამ ქვეყნად აღარაა. მეგობრებმა კორონავირუსის გამო ვერ შევძელით მისი ნახვა ვერც ავადმყოფობის, ვერც გარდაცვალებისა და ვერც დაკრძალვის დროს. ჩვენ უნახავად წასული ცოცხალია ჩვენს გულებში და ველოდებით მორიგ შეხვედრას სადმე კაფეში ან რომელიმე ჩვენგანის სახლში. ვიცით, რომ ჩვენთან იქნება ჩვენი კეთილი და მშვიდი რუსო, ერთგული მესაიდუმლე ადამიანი, საუკეთესო დედა და დიასახლისი. გავიხსენებთ მის სტუმართმოყვარეობას, ხრაშუნა ნაპოლეონსა და მოსიყვარულეთვალებიან ქალს. გული გვწყდება, რომ მისმა დაბადების დღემ — 14 აპრილმა — ასე ჩუმად, უფერულად ჩაიარა. ჩვენ ყველამ სათითაოდ, დაუსწრებლად აღვნიშნეთ ეს დღე და ლარნაკებში მის სახელზე ჩავდეთ ალუბლის ყვავილები. ყველამ ვიცით, რომ რუსიკოს არასდროს დავივიწყებთ და მისი აჩრდილი ჩვენ გვერდით იქნება ყოველთვის. მშვიდად იძინოს მისმა სულმა, დალოცოს საყვარელი ოჯახი, მეგობრები, კეთილისმსურველები და მოგვევლინოს ხანდახან სიზმრებში მაინც.

*ლამზირა რურუა თანაკურსელი მეგობრების სახელით*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ცნობილი ქართველი ექიმი, დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორი; 2. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 3. მხარე ბელგიაში; 4. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 5. გრამატიკის ნაწილი; 6. პროფესიონალი ცხენოსანი; 7. ქართული მინერალური წყალი; 9. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 13. ქალაქი ნიდერლანდებში, სადაც განთავსებულია სამეფო რეზიდენცია და სამთავრობო დაწესებულებები; 17. ძვირფასი ლითონი; 18. ბარიტის საბადო რაჭაში.

**თარაზულად:** 1. ფიჭიანი თაფლი; 3. უბანი თბილისში; 8. დაქირავებული კავალერი; 10. ეგვიპტის მმართველთა ტიტული; 11. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 12. მაღალხარისხოვანი არომატული სპირტიანი სასმელი; 14. დაზიანებული კბილის ღრუს ამოსავსები ნივთიერება; 15. მდინარე კახეთში; 16. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 19. ფრანგული პური; 20. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 21. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ისაკაძე; 2. ჩაკირი; 3. ბაკურიანი; 4. კრიშნა; 5. ლომბარდი; 7. ვერე; 11. ძილქუში; 13. ბაბაჭუა; 15. თართი; 16. კუჩუა. 18. ღვინო; 19. ვეკუა.

**თარაზულად:** 6, საბვეი; 8. დარაკი; 9. ორიგამი; 10. ანდერძი; 12. დიორი; 14. ვაზარი; 17. ნაბელღავი; 20. ღრუბელი; 21. მთიები; 22. ნადური; 23. ზაქათალა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სერვანტესი; 2. კომუნა; 3, ფალანგა; 4. კრონა; 5. კონკლავი; 6. გაუდა; 7. ჰარიერი; 9. კრისტი; 13. პერტი; 17. როტა; 18. ბზა.

**თარაზულად:** 1. საიგაკი; 3. ფრანკი; 8. სონატა; 10. მუსკატი; 11. ვალიო; 12. დანელია; 14. სტატია; 15. აჯამეთი; 16. ვერფი; 19. ბუტიკი; 20. ლიეტუვა; 21. კოპალა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0624

ევრო — 3.4593

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8617

100 რუსული რუბლი — 4.3016

## ამინდის პროგნოზი 14 ივლისისთვის




## „მასტერშეფი“ ზურა ხოკერაშვილს დაატოვებინეს



კულინარიული შოუ „მასტერშეფი“ ზურა ხოკერაშვილს დაატოვებინეს. კონკურსანტებს ჟიურიმ ორი დავალება მისცა – მწვადის ტური და საბჭოთა კერძების გათანამედროვების ტური.

პირველი დავალების ყველაზე ცუდ კერძად ზურა ხოკერაშვილის მწვადი დასახელდა, პირველი დავალების ყველაზე საუკეთესო კერძად კი – ანნას მწვადი.

ორივე საკონკურსო ტურის დასრულების შემდეგ ჟიურიმ შოუდან გავარდნის კანდიდატები დაასახელა – იანა კუცი და ზურა ხოკერაშვილი. საბოლოოდ კი „მასტერშეფი“ ზურამ დატოვა.

შოუს შემდეგი ტური უკვე ნახევარფინალია. საუკეთესო ხუთეულისთვის ჟიურის ერთ-ერთი წევრი, ლევან კობიაშვილი, მასტერკლასს ჩაატარებს, კონკურსს კი ორი მონაწილე გამოეთიშება და ფინალში გამარჯვებისთვის სამი მათგანი იბრძოლებს.

## ხატია ბუნიათიშვილმა ენიო მორიკონეს სპეციალური ჩანაწერი მიუძღვნა



პიანისტმა ხატია ბუნიათიშვილმა იტალიელ კომპოზიტორ ენიო მორიკონეს სპეციალური ჩანაწერი მიუძღვნა.

ლეგენდარული კომპოზიტორის მიერ სერჯიო ლეონეს ფილმისთვის „ერთხელ ამერიკაში“ დაწერილი მუსიკა ხატიამ თავისი ინტერპრეტაციით ააჟღერა. ჩანაწერი ინტერნეტში გავრცელდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, უამრავი ნახვა, მოწონება, დადებითი კომენტარი და გაზიარება დაიმსახურა.

## ნიკო გომელაური 50 წლის გახდებოდა

მსახიობი და პოეტი ნიკო გომელაური 50 წლის გახდებოდა. პანდემიის გამო მისი იუბილეს აღნიშვნა სამომავლოდ გადაიდო.

დაგეგმილი ღონისძიება რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა გააჟღერა:

– ნიკო 50. გარდაცვლილები არც ბერდებიან და არც იცვლებიან!

ნიკო ისევ ისეთია, როგორსაც ვიცნობდი: ახალგაზრდა, ლამაზი, ნიჭიერი, რომანტიკოსი, ქარიზმატული, ენამოსწრებული, ენერგიული, ერთგული მეგობარი.

პანდემიამ და რეგულაციებმა ხელი შეგვიშალეს მისი იუბილეს აღნიშვნაში, მაგრამ მისი სახელი და ხსოვნა ყოველთვის იქნება როგორც „თავისუფალ თეატრში“, ასევე გრიბოედოვის თეატრში. ნიკოს ცხოვრება და მისი როლები იქცა იმ ლამაზ ლეგენდად, რომელზეც ყოველი ახალმოსული მსახიობი გააკეთებს სწორებას.



ნიკოს დაბადების დღეს დიდუბის პანთეონში ჩვენი მსახიობები ყვავილებს დააწყობენ მის საფლავზე, ხოლო მისი ხსოვნის საღამოს აგვისტოში შეკვეთილში, სასტუმრო „მირაჟთან“, სანაპიროზე გავმართავთ. იქ, სადაც მან არაერთი ლექსი შექმნა, მის ლექსებს წავიკითხავთ და მასზე ვისაუბრებთ. იმ კაფეში, სადაც ნიკომ თავისი ერთ-ერთი პირველი შემოქმედებითი საღამო გამართა და არაერთხელ ასწია ჭიქა, ჩვენც ავწევთ ჭიქას და მის სახელს ვადღეგრძელებთ.

გაგიმარჯოს, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ძალიან მაკლიხარ!

## ასტროპროგნოზი



**14 ივლისისთვის**

**ვერძი** – სამოგზაუროდ ან მივლინებაში წასვლა, სავარაუდოდ, იმედებს არ გაგიმართლებთ. ზომიერად იაქტიურეთ. **კურო** – მატერიალურ სფეროში გაუმჯობესება შეინიშნება. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** – ბიზნესში გაგიმართლებთ. პრობლემები შეგექმნებათ დოკუმენტების გაფორმებისას. **კირჩხიბი** – იყავით პრინციპული, განსაკუთრებით – სამსახურში. ხელმძღვანელობაზე დამოკიდებული ხართ. **ლომი** – თქვენი ახალი იდეები უფროსობას არ მოსწონს. თავმდაბლად იმუშავეთ. **ქალწული** – კრიტიკული დღეა. ოჯახშიც და სამსახურშიც დაბრკოლებები შეგხვდებათ. **სასწორი** – კოლექტიური მუშაობა არ გაამართლებს. სიტუაცია გონივრულად შეაფასეთ. **ღრიანკალი** – მშვიდი, კეთილისმყოფელი დღეა. საღამოს დეპრესია შემოგიტევთ. **მშვილდოსანი** – მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ნუ მიიღებთ. კოლექტიური საქმიანობა დღის დევიზია. **თხის რქა** – შანსს ნუ გაუშვებთ, პირად ცხოვრებაში ცვლილებები შეიტანოთ. გარისკვა რეკომენდებულია. **მერწყული** – უეცრად წარმოშობილი კონფლიქტი თქვენ სასარგებლოდ დამთავრდება. ნუ მოდუნდებით. **თევზები** – ეზიარეთ მშვენიერებას. იზრუნეთ ცოდნის არეალის გაფართოებაზე. დღეს გიმართლებთ ყველა სფეროში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

ამერიკელი, ინდოელი და ქართველი ჯოჯოხეთში მოხვდებიან. ეშმაკი მათ ეუბნება:

–– ყველას, ვინც აქ მოხვდება, სამოთხეში გადასვლის შანსს ვაძლევ. ვინც აი ამ მათრახის სამ დარტყმას ისე გაუძლებს, რომ ტკივილისგან არ დაიყვირებს, გავუშვებ. შეგიძლიათ თავის დასაცავად რაიმე გამოიყენოთ.

პირველი ინდოელი გამოვიდა. ეშმაკი ეკითხება:

– თავს რითი დაიცავ?

– თავის დაცვა არ მჭირდება! 80 წელი იოგა ვიყავი და მედიტაციის დროს სხეული ტკივილს არ გრძნობს!

ეშმაკმა დასცხო ერთხელ მათრახი. ინდოელი ხმას არ იღებს. დასცხო მეორედ, ისევ ხმას არ იღებს. დასცხო მესამედ. არც ამჯერად ამოუღია ხმა ინდოელს. გაკვირვებული ეშმაკი ეუბნება:

– აქამდე სამი დარტყმისთვის არავის გაუძლია. რა გაეწყობა, თავისუფალი ხარ, შეგიძლია სამოთხეში წახვიდე.

– არა, დავრჩები, მინდა ვნახო, რა გამოუვათ ამ ამერიკელს და ქართველს.

ეშმაკი ამერიკელს მიუბრუნდა და ეკითხება:

– აბა, თავის დასაცავად რას გამოიყენებ?

– აი ამ გრანიტს, – უპასუხა ამერიკელმა და დიდი გრანიტის ლოდი აიფარა.

ეშმაკმა მოიქნია მათრახი და გრანიტი ნამსხვრევებად იქცა. მეორედ მოიქნია და ამერიკელი აღრიალდა.

– ახლა შენი ჯერია, – მიუბრუნდა ეშმაკი ქართველს, – თავის დასაცავად რას აიფარებ?

– რას და, რა თქმა უნდა, ამ ინდოელს...

●●●

ბაზარში კაცი თევზს ყიდის. ქალს უნდა ფასი დააკლებინოს და ეკითხება:

– ეს თევზი რატომ მოღუნული?

– რატომ და მოსახვევში დაიჭირეს!

●●●

გამომძიებელი ქალს ეკითხება:

– რატომ ჩაარტყით ქმარს თავში ტაფა?

– დედა, მაგასაც ნებართვა უნდა?

●●●

სოფელში ჭორიკანა ქალი გარდაიცვალა და მეზობლები დასტირიან:

– ადე, ცა, ზეზე, რაფერ გვტიებ ამ ინფორმაციულ ვაკუუმშიიი!!!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სერჟ ორიეს ძმა საფრანგეთში მოკლეს



ლონდონის ტოტენჰემის მოთამაშე სერჟ ორიეს ძმა კრისტოფერი საფრანგეთში, ქალაქ ტულუზაში ჩაცხრილეს.

ეს 13 ივლისის დილას მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კრისტოფერს ღამის კლუბთან ახლოს ესროლეს და ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს.

სერჟ ორიემ კარიერა ასევე ტულუზაში დაიწყო და 2017 წელს ის პსჟ-ს ფეხბურთელი გახდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში ორიე ტოტენჰემის ღირსებას იცავს, თუმცა ბოლო პერიოდში ის იშვიათად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში.

## კლოპი ლივერპულში კიდევ 5 წელი აპირებს დარჩენას



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ის კიდევ მინიმუმ 5 წელიწადი აპირებს ლივერპულში დარჩენას, შემდეგ კი, სავარაუდოდ, გერმანიაში დაბრუნდება.

კლოპის აზრით, წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს, რა მოხდება მომავალში:

– მინდა, რომ ლივერპულში კიდევ 5 წელიწადი ვიმუშაო, შემდეგ კი ფეხბურთისგან დავისვენო და გერმანიაში დავბრუნდე. მომავალში რა იქნება, წინასწარ არავინ იცის, ამიტომ ეს მხოლოდ გეგმებია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბიზონი პენსიონერ ქალს თავს დაესხა



აშშ-ის იელოუსტონის ეროვნულ პარკში აგრესიულმა ბიზონმა რამდენჯერმე ურქინა პენსიონერ ქალს, რომელიც მისთვის ფოტოსურათის გადაღებას ცდილობდა.

72 წლის კალიფორნიელი ტურისტი სამ მეტრზე ახლოს რამდენჯერმე მიუახლოვდა ბიზონს, რათა მისთვის ფოტოსურათი გადაეღო. ცხოველმა გადაწყვიტა, რომ ქალი მას საფრთხეს უქმნიდა და თავს დაესხა.

შემთხვევის ადგილზე რეინჯერები მივიდნენ. მათ დაშავებულ პენსიონერ ქალბატონს პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, შემდეგ კი შვეულმფრენით უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

ეროვნულ პარკში ბიზონების სპეციალისტის, ბიოლოგ კრის გერემიას თქმით, ტურისტმა ქალბატონმა პარკში ქცევის წესები დაარღვია. მან განმარტა, რომ ბიზონები გარეული ცხოველები არიან და თუ ჩათვალეს, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, აგრესიულები ხდებიან, ჯერ ჩლიქებს მიწას ურტყამენ, თავს დაბლა ხრიან, ფრუტუნებენ, კუდს მაღლა სწევენ და თუ მოწინააღმდეგეს, რომელსაც საფრთხედ მიიჩნევენ, ეს ვერ შეაშინებს, მერე უკვე თავდასხმაზე გადადიან.

მან ტურისტებს ასევე ურჩია, რომ ბიზონებთან 20-მეტრიანი დისტანცია დაიცვან. გაეცალონ მათ, თუ დაინახავენ, რომ ისინი მათკენ მიდიან, დაიმალონ ან გაიქცნენ, როდესაც ცხოველი მათ თავს ესხმის.

## ვეფხვმა ზოოპარკის თანამშრომელი დამთვალიერებლების თვალწინ დაგლიჯა



შვეიცარიის ქალაქ ციურიხში ამურის ძუ ვეფხვმა ზოოპარკის თანამშრომელი მოკლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

შაბათს, 4 ივლისს, ადგილობრივი დროით დაახლოებით დღის ორ საათზე ამურის ძუ ვეფხვი, სახელად ირინა, ზოოპარკის 55 წლის თანამშრომელს თავს დაესხა, რომელიც დაუდგენელი მიზეზებით მტაცებელი ცხოველის ვოლიერში იმყოფებოდა. ვეფხვმა ქალი კისრის არეში დაჭრა და გაოგნებული დამთვალიერებლების თვალწინ, რომელთა შორის ბავშვიც იმყოფებოდა, დაგლიჯა.

ზოოპარკის თანამშრომლებმა, პოლიციელებმა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებმა დაშავებულთან მისვლა მტაცებლის თავდასხმიდან შვიდ-რვა წუთში შეძლეს. მათ ვეფხვის მსხვერპლისთვის მოშორება წიწაკის შემცველი გაზის გამოყენებით და რეზინის ტყვიებით მოახერხეს, მაგრამ ქალის გადარჩენა ველარ მოხერხდა, ის მიღებული ჭრილობებისგან ადგილზევე გარდაიცვალა.

ზოოპარკის ხელმძღვანელობამ სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულის ოჯახს და მომხდარის შიდა გამოძიება დაიწყო. მომხდარის ყველა თვითმხილველს ფსიქოლოგიური დახმარება გაეწია. ზოოპარკის ადმინისტრაციის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ვეფხვის დაძინებას არ აპირებენ, ვინაიდან ცხოველი საკუთარი ინსტინქტების თანახმად მოქმედებდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. სიმღერა აკომპანემენტის გარეშე; 2. კომპანია „ზარას“ მფლობელი; 3. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 4. ხორბლის, მარცვლეულის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 5. გორგოლაჭებიანი კონვეიერი; 7. ქალაქი ჩეხეთში; 11. ძლიერი, ფეთქებადი ნივთიერება; 13. ხვავი, ბარაქა; 15. საშობაო სიმღერა; 16. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 18. ხარის ან კამეჩის ტყავისგან დამზადებული ძველებური წყლის საზიდი დიდი ტიკი; 19. იაპონური აბანო.

**თარაზულად:** 6. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 8. სალამანდრისნაირთა ოჯახის წყალხმელეთა ცხოველი; 9. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 10. საპატიო თანხლება; 12. ყვითელი, კურკოვანი ნაყოფის მქონე კენკროვანი მცენარე; 14. მუნჯი კინოს ამერიკელი კომიკოსი; 17. შვეიცარიული ფარმაცევტული ფირმა; 20. ერთისა და იმავე სიმაღლის ორი ან მეტი მუსიკალური ბგერის ერთდროული ჟღერადობა; 21. ქართული სადაზღვევო კომპანია; 22. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 23. მსხლის ქართული ჯიში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*